IPPF

From choice, a world of possibilities

# სექსუალური უფლებები: IPPF დეკლარაცია

# ვინ ვართ ჩვენ

IPPF (საერთაშორისო ოჯახის დაგეგმვის ფედერაცია) არის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის სერვისპროვაიდერი და უფლებების დამცველი. ჩვენ წარმოვადგენთ მსოფლიო ეროვნული ორგანიზაციების მოძრაობას, რომელიც არა მხოლოდ თანამშრომლობს საზოგადოებასთან და ცალკეულ პირებთან, არამედ კონკრეტულად მუშაობს საზოგადოებისა და ცალკეული პირებისათვის.

ჩვენი მუშაობა მიმართულია სამყაროს ისეთი მოდელის შექმნისკენ, რომელშიც ნებისმიერ ინდივიდუუმს, მიუხედავად სქესისა, უფლება ექნება განკარგოს საკუთარი სხეული და ხშირ შემთხვევაში, აქედან გამომდინარე, საკუთარი ბედიც. სამყარო, რომელშიც ადამიანებს თავად ძალუძთ აირჩიონ, გახდნენ თუ არა მშობლები; გადაწყვიტონ, რამდენიშვილი ეყოლებათ და თავად დაგეგმონ მათი შეძენის დრო; იცხოვრონ ჯანსაღი სქესობრივი ცხოვრებით, შეძლონ თავის დაცვა არასასურველი

ორსულობისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისაგან, მიიღონ სრული ინფორმაცია ადამიანის იმუნოდეფიციტური ვირუსის შესახებ და შიშის გარეშე ჩაიტარონ გამოკვლევები. სამყარო, რომელშიც მსქესი თუ სექსუალობა აღარ წარმოადგენს უთანასწორობისა თუ სირცხვილის წყაროს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ დავიცვათ ესოდენ მნიშვნელოვანი არჩევანი და უფლებები როგორც ახლანდელი, ისე მომავალი თაობებისათვის.

დეკლარაცია ქართულ ენაზე თარგმნა და დაარედაქტირა ასოციაცია ჰერა ოცდაერთმა. ასოციაცია ჰერა ოცდაერთი წარმოადგენს ოჯახის დაგემვის საერთაშორისო ფედერაციის ევროპული ქსელის (IPPF_EN) წევრ ორგანიზაციას და წარმომადგენლობას საქართველოში.

(c) ყველა უფლება დაცულია

# შინაარსი


წინასიტყვაობა.....4

ისტორია.....6

წარმომადგენლობითი რეზიუმე.....10

სექსუალური უფლებები: IPPF დეკლარაცია.....17

სექსუალური უფლებები: IPPF დეკლარაცია (შემოკლებული ვერსია) .....64

ტერმინების განმარტება .....76

საერთაშორისო ანგარიში ადამიანის უფლებებზე .....79

საერთაშორისო ოჯახის დაგეგმვის ფედერაციის საკონტაქტო მონაცემები .....81

# წინასიტყვაობა

სექსუალობა არის ცხოვრების ბუნებრივი და მაღალი ღირებულებების მქონე ასპექტი, რომელიც კაცობრიობის აუცილებელი და ფუნდამენტურინაწილია. იმისათვის, რომ ადამიანმა მიაღწიოს ჯანმრთელობის უმაღლეს სტანდარტს, პირველ რიგში, მას უნდა ჰქონდეს არჩევანის უფლება საკუთარ სექსუალურ და რეპროდუქციულ ცხოვრებაში; მან უნდა იგრძნოს ნდობა და უსაფრთხოება საკუთარი სქესობრივი იდენტურობის გამოხატვაში.

დღესდღეობით, დისკრიმინაცია, სტიგმა, შიში და ძალადობა რეალურ საფრთხეს უქმნის მრავალ ადამიანს. ეს საფრთხეები და მათ მიერ პროვოცირებული ქმედებები – გულგატეხილობიდან სიცოცხლისათვის სახიფათომდე – არ აძლევს მრავალ ადამიანს საბაზო სექსუალური უფლებებისა და ჯანმრთელობის სტანდარტის მიღწევის შესაძლებლობას.

IPPF-ის მიერ დასახული მიზნების მიღწევას საფუძვლად უდევს პრობლემისადმი ისეთი მიდგომა, რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებების უნივერსალურობის, ურთიერთკავშირის, ურთიერთდამოკიდებულებისა და განუყოფლობის პრინციპებს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენი მომსახურეობების გაწევისა და დაცვის მეშვეობით გარანტირებული იქნას სექსუალური უფლებების - ადამიანის უფლებების პატივისცემა კიდევ უფრო ფართო საზოგადოებრივ სფეროში.

**სექსუალური უფლებები**: IPPF დეკლარაცია წარმოადგენს ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჩატარებული, გლობალური მასშტაბის სამუშაოების კულმინაციას. მის განვითარებას ხელმძღვანელობდა ცალკეულ პირთა მრავალტიპობრივი ჯგუფი: საერთაშორისო მასშტაბით ცნობილი ექსპერტები სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ადამიანის უფლებების, კანონისა და ჯანდაცვის.

სფეროში; უფროსი IPPF მოხალისეები, რომელთაგან თითოეულმა წარმოადგინა უნიკალური რეგიონალური პერსპექტივები, ხოლო ერთობლივად – გამოცდილება და ძლიერი მხარეები; ასევე IPPF სამდივნოს სამი უფროსი დირექტორი. დეკლარაცია შემუშავებული იქნა რეგიონალური შეხვედრებისა და ივენტების შედეგად, რომლებიც ჩატარებულ იქნა ფედერაციის მასშტაბით. დეკლარაციას საფუძვლად დაედო IPPF წესდება სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ უკვე გარკვეული პროგრესია მიღწეული ათასწლეულის განვითარებისა და 1994 ICPD (მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის)

სამოქმედო გეგმის მიზნებისაკენ მიმავალ გზაზე, ჯერ ისევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. სექსუალური უფლებები წარმოადგენს ადამიანის უფლებების შემადგენელ ნაწილს. ეს უფლებები ქმნიან სექსუალობასთან დაკავშირებულ განვითარებადი უფლებების კომპლექტს, რომელსაც უდიდესი წვლილი შეაქვს ყოველი ადამიანის თავისუფლებაში, თანასწორობასა და ღირსებაში. ამიტომ მათი იგნორირება დაუშვებელია. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ მუშაობა, არ უნდა წავიდეთ დათმობებზე და უნდა გამოვიჩინოთ მაქსიმალური ძალისხმევა სტიგმას შესამცირებლად და მომსახურეობების ხელმისაწვდომად ქცევისთვის. მოცემული ქმედებები მოგვცემს საშუალებას ავამაღლოთ სექსუალობის, როგორც ადამიანის სიცოცხლის პოზიტიური ასპექტის, მნიშვნელობა. მარგინალიზებული ჯგუფები, როგორიცაა ახალგაზრდობა, ტრანსგენდერული მოსახლეობა, სექს-მუშაკები, მამაკაცები, რომელთაც სექსი მამაკაცებთან აქვთ, ცისფერები, ლესბოსელები თუ ბისექსუალები, არასრულწლოვანი დაოჯახებული გოგონები თუ დედები, განსაკუთრებით საჭიროებენ ჩვენს თანაგრძნობასა და თანამონაწილეობას. დეკლარაცია თანაბრად ეხება იმ გოგონებსა და ქალებს, რომლებიც იმყოფებიან გენდერული ძალადობის რისკის ქვეშ, ან რომლებმაც უკვე განიცადეს ამგვარი ძალადობა, მათ შორის, ისეთი ტრადიციული წესების გამო, როგორიცაა ქალის სქესობრივი ორგანოების დაზიანება და დისკრიმინაცია მამაკაცთა პრეფერენციების საფუძვლად.

**სექსუალური უფლებები**: IPPF დეკლარაცია წარმოადგენს აუცილებელ ინსტრუმენტს ყველა იმ ორგანიზაციის, აქტივისტის, მკვლევარის, პოლიტიკისა და გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფებისათვის, რომლებიც მუშაობენ ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობასა და გარანტირებაზე. ეს დეკლარაცია სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ადამიანის უფლებების დაცვის საზოგადოებების წევრებს მისცემს სექსუალური უფლებების შექმნის, შეცვლისა და გაფართოების იმპულსს, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს საერთაშორისო კონფერენციის მოსამზადებელ სამუშაოებს, რომელიც 2015 წელს ჩატარდება. ხანგრძლივად უარყოფილი და უგულებელყოფილი სექსუალური უფლებები ჩვენს ყურადღებასა და პრიორიტეტულობას იმსახურებს. დროა, პატივი ვცეთ მათ. დროა, მოვითხოვოთ ამ უფლებების დაცვა. გვწამს, რომ დეკლარაცია კარგ სამსახურს გაგიწევთ მომავალ ქმედებებში.

ჟაკლინ შარპი, IPPF პრეზიდენტი

## ისტორია

2006 წლის ნოემბერში, IPPF-ის უმაღლესმა დირექციამ მმართველმა საბჭომ შექმნა სექსუალური უფლებების, დაცვის კომიტეტი, რომლის უფლებამოსილებათა სფეროს წარმოადგენდა ფედერაციის ხელმძღვანელობა და მხარდაჭერა სექსუალური უფლებების დეკლარაციის შემუშავებაში.

გათვალისწინებული იქნა, რომ დეკლარაცია შემუშავდებოდა IPPF სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების დაცვის წესდების საფუძველზე. ეს იყო ღირსშესანიშნავი დოკუმენტი, რომელიც უაღრესად პოპულარული აღმოჩნდა და წარმატებით წასწია წინ ადამიანის უფლებების ინტეგრაცია IPPF-ის მომსახურეობებისა და დაცვის სამუშაოების მეშვეობით. უახლესმა ნაშრომმა სექსუალური უფლებების დაცვის შესახებ, რომელიც შემუშავებული იქნა IPPF დასავლეთ ნახევარსფეროს რეგიონის მიერ, დიდი წვლილი შეიტანა ამ დეკლარაციის შემუშავებაში. და ბოლოს, 2008 წლის მაისში, დეკლარაცია, მისი პრეზენტაციის შემდეგ, მიღებული იქნა IPPF-ის მმართველი კომიტეტის მიერ. სექსუალური უფლებების დაცვის კომიტეტი შედგა IPPF-ის უფროსი მოხალისეებისა და პერსონალისგან IPPF-ის ექვსივე რეგიონიდან, ასევე საერთაშორისო მასშტაბით ცნობილი ექსპერტებისაგან სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვის

სფეროში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. კომიტეტის წევრები იყვნენ:

- **მერიემ მინტ აჰმედ აიჩა** მმართველი კომიტეტის წევრი, მავრიტანია
- **ჰოსამ გაჰგათი** პირადი უფლებების დაცვის ეგვიპტეს ინიციატივის დირექტორი, ეგვიპტე
- **დოქტორი კარმენ გაროზო** რეგიონალური დირექტორი, IPPF/WHR
- **გერტ-ინგე ვრანდერი** მმართველი კომიტეტის წევრი, შვედეთი
- **პროფესორი პოლ ჰანტი** გაერთიანებული ერების სპეციალური მომხსენებელი ჯანდაცვის უფლებების საკითხებში
- **დოქტორი ელის მილერი** კოლუმბიის უნივერსიტეტი/ბერკლის სამართალი კალიფორნიის უნივესრიტეტში, აშშ
- **მადჰუ გალა ნათი** რეგიონალური დირექტორი, IPPF/SARO
- **დოქტორი ნაომი მაპელო სეგონი** მმართველი კომიტეტის წევრი, ბოტსვანა
- **დოქტორი ნონო სიმელელა** ტექნიკური ცოდნისა და მხარდაჭერის დირექტორი
- **ტანგ კუნი** მმართველი კომიტეტის წევრი, ჩინეთი
- **დოქტორი ესთერ ვისენტე** (თავმჯდომარე) მმართველი კომიტეტის წევრი, პუერტო რიკო
- **დოქტორი გილ გრირი** (თანამდებობის ძალით) IPPF გენერალური დირექტორი
- **დოქტორი ჟაკლინ შარპი** (თანამდებობის ძალით) IPPF პრეზიდენტი

## წარმომადგენლობითი რეზიუმე

სექსუალური უფლებები: IPPF დეკლარაცია ეფუძნება ადამიანის უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო დოკუმენტებს, საერთაშორისო სტანდარტების ავტორიტეტულ ინტერპრეტაციებს და ძირითად უფლებებს, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის სექსუალობასთან და თავის მხრივ, IPPF-ის აზრით, ამ უფლებებში მოიაზრება.

დეკლარაცია შეესაბამება იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებსაც IPPF აწერს ხელს. დეკლარაციის სტრუქტურა უკვე ფართო არეალს მოიცავს IPPF-ისა და წევრი ასოციაციების არსებულ პუბლიკაციებში და ასახავს IPPF-ის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. დეკლარაცია დასაბუთებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეკრულებების რამდენიმე მონაწილისა და სპეციალური მომხსენებლის დასკვნებითა და რეკომენდაციებით, კერძოდ, 2004 წლის მოხსენებით ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტის მიღწევის უფლებების დაცვის შესახებ. დეკლარაცია შემუშავებული იქნა ექსპერტების კომიტეტის მიერ, რომელიც შედგებოდა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული ლიდერებისაგან, როგორიცაა, მაგალითად, პოლ ჰანტი, გაერთიანებული ერების სპეციალური მომხსენებელი ჯანმრთელობის დაცვის უფლებების შესახებ. წარმომადგენლობითი რეზიუმე არ მოიაზრება როგორც დეკლარაციის ალტერნატივა,არამედ როგორც შესავალი მისი სხვადასხვა ნაწილებისა და შინაარსისთვის. წინამდებარე წარმომადგენლობით რეზიუმეს ყოველთვის თან უნდა ერთვოდეს სრული დეკლარაცია, რომ სექსუალური უფლებებისა და მათი წინაპირობების ყოველი დეტალი მუდმივად ხელმისაწვდომი იყოს.

სექსუალური უფლებები: IPPF დეკლარაცია შედგება სამი ნაწილისაგან:

- პრეამბულა, რომელშიც წარმოდგენილია დეკლარაციის კონცეფცია, მოიცავს IPPF-ის მისიას და ხედვას, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ადამიანის

უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და დოკუმენტების კონტექსტში. აქვე მოცემულია ადამიანის უფლებების დაცვის სტრუქტურის ძირითადი მიზნის მონახაზი;

- შვიდი სახელმძღვანელო პრინციპი, რომელიც წარმოადგენს დეკლარაციაში გაერთიანებული ყველა სექსუალური უფლების სტრუქტურას და უზრუნველყოფს სექსუალური უფლებების პატივისცემას, დაცვასა და წინა პლანზე წამოწევას თვით ფედერაციაში. სექსუალური უფლებები განიხილება ადამიანის უფლებების ფარგლებში, რომელიც უნივერსალური, განუყოფელია და უარყოფს ყოველგვარ დისკრიმინაციას.

***ბოლო ნაწილი, სექსუალური უფლებები და სექსუალობასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებები.*** სექსუალური უფლებები მოიცავს იმ უფლებათა კომპლექსს, რომლებიც დაკავშირებულია სექსუალობასთან და თავის მხრივ, გამომდინარეობს ყველა ადამიანის თავისუფლების, თანასწორობის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, ავტონომიის და ღირსების უფლებებიდან. ვინაიდან ყოველთვის გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნული და რეგიონალური თავისებურებებისა და განსხვავებული ისტორიული, კულტურული და რელიგიური გარემოს მნიშვნელობა, მსოფლიოს ყველა რეგიონში მომუშავე ორგანიზაციებსა და ცალკეულ პირებს შეუძლიათ დეკლარაციის სტრუქტურისა და ძირითადი პრინციპების ჩართვა თავიანთ საქმიანობაში, მომსახურეობებსა და პროგრამებში. ეს ხელს შეუწყობს სექსუალური უფლებების წინა პლანზე წამოწევასა და დაცვას.

გვჯერა რა, რომ ეს თანმიმდევრული და ინტეგრირებული, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ხელს შეუწყობს სექსუალური უფლებების, როგორც გლობალური სამართლიანობის ერთ-ერთი ასპექტის რეალიზაციას, ვადასტურებთ პრინციპებს, რომელთა არსი შემდეგში მდგომარეობს:

## პრინციპი 1.

სექსუალობა წარმოადგენს თითოეული ადამიანის ინდივიდუალობის განუყოფელ ნაწილს. ამ მიზნით, აუცილებელია ისეთი ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რომელშიც ყველას მიეცემა სექსუალური უფლებების, როგორც განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილის, რეალიზების საშუალება.

სექსუალობა წარმოადგენს ნებისმიერი საზოგადოების ნებისმიერი წევრის ინდივიდუალურობის განუყოფელ ნაწილს. მიუხედავად იმისა, რომ ცაკლეული პირები შესაძლებელია განსხვავებული წესებით იყენებდნენ საკუთარ სექსუალურ უფლებებს, შიდა თუ გარე ფაქტორებზე დამოკიდებულებით. სექსუალობასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დაცვა უნდა წარმოადგენდეს თითოეული ადამიანის ყოველდღიური არსებობის ნაწილს, რა გარემოშიც არ უნდა იმყოფებოდეს იგი. გარდა ამისა, სექსუალობა აღქმული უნდა იქნას, როგორც სიცოცხლის პოზიტიური ასპექტი. სექსუალური უფლებები წარმოადგენს ადამიანის უნივერსალურ უფლებებს, დაფუძნებულს ყოველი ადამიანის თავისუფლებაზე, ღირსებასა და თანასწორობაზე. სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების წესდების შესაბამისად, IPPF ადასტურებს, რომ თვით პიროვნება წარმოადგენს განვითარების ცენტრალურ სუბიექტს და აღიარებს ისეთი ხელსაყრელი გარემოს შექმნის მნიშვნელობას, რომელშიც ყოველ ადამიანს შეეძლება თავისი სექსუალური უფლებით სარგებლობა იმისათვის, რომ შესძლოს აქტიური მონაწილეობის მიღება ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური განვითარების პროცესში. სექსუალობა ადამიანისა სოციალური ცხოვრების ასპექტია, რომელიც უკავშირდება სხეულს, გონებას, პოლიტიკებს, ჯანმრთელობასა და საზოგადოებას.

## პრინციპი 2.

18 წლამდე პირების სექსუალური უფლებების დაცვა გარკვეულ შემთხვევებში განსხვავებული მიდგომებს საჭიროებს. სექსუალური უფლებების რეალიზებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ 18 წლამდე პირთა საუკეთესო ინტერესები და ვაღიაროთ მათი გადაწყვეტილების მიღების უფლება.

მნიშვნელოვანია, რომ ცალკეულ ბავშვებს ჰქონდეთ შესაძლებლობა თავად გამოიყენონ თავიანთი უფლებები საკუთარი სახელით. IPPF აღიარებს თვრამეტ (18) წლამდე ასაკის ადამიანების გარანტირებულ უფლებებს, რომელთა დაცვა ხდება როგორც საერთაშორისო , ისე ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში. პირველ რიგში, IPPF აღიარებს თვრამეტ (18) წლამდე ასაკის პირებს, როგორც უფლებების მქონე სუბიექტებს. გარდა ამისა, ხაზს უსვამს ჩვილობის, ბავშვობისა და მოზარდობის გათვალისწინებით მათი უფლებების მეტ-ნაკლებად განსხვავებული მნიშვნელობის ქონას.

განვითარებადი შესაძლებლობის პრინციპი აერთიანებს ბავშვებისადმი, მათი ღირსებისადმი პატივისცემას და ყოველგვარი სახის ზიანის მიყენებისგან მათ დაცვას. საზოგადოებებმა უნდა შექმნან ისეთი გარემო, რომელშიც ბავშვებს შეეძლებათ მათი ოპტიმალური შესაძლებლობის (უნარის) გამოვლენა, სადაც პატივს სცემენ მათ შესაძლო მონაწილეობას, და პასუხისმგებლობას, თავიანთი ცხოვრებაში გადაწყვეტილების მიღების ნაწილში.

## პრინციპი 3.

### არადისკრიმინაციული მიდგომები ხაზს უსვამს ყველა ადამიანის უფლებების დაცვასა და ხელშეწყობას

IPPF დარწმუნებულია, რომ ადამიანის უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის საფუძველს ანტიდისკრიმინაციული მიდგომები წარმოადგენს. ეს ნიშნავს, რომ დაუშვებელია ნებისმიერი ადამიანის მიმართ განსხვავებული თუ არათანაბარი მოპყრობა მისი გენდერული იდენტობის, სექსუალობის, სქესის, ასაკის თუ სხვა ნიშნის გამო.

ანტიდისკრიმინაციული მიდგომები კრძალავს ყოველგვარ გამორჩევას, გამოყოფას თუ შეზღუდვას სქესის, ასაკის, გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციის, ოჯახური მდგომარეობის, სქესობრივი გამოცდილების თუ ქცევის, რასის, კანის ფერის, ეთნიკური წარმომავლობის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, მათ შორის აივ/შიდსის, სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური სტატუსის თუ სხვა ნიშნის მიხედვით. ვინაიდან ამგვარი გამორჩევა მიზნად ისახავს ან

იწვევს ადამიანის უფლების ხელყოფას, აგრეთვე, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, სამოქალაქო თუ სხვა სფეროში არსებული ფუნდამენტალური თავისუფლებების აღიარების, ფლობისა და გამოყენების შეფერხებას.

ცალკეული პირები სხვადასხვაგვარ ბარიერებს აწყდებიან მათი სექსუალური უფლებების რეალიზებისას. რეალური თანასწორობა მოითხოვს ამ ბარიერების აღმოფხვრას, რათა ყოველი ადამიანის სხვებთან თანასწორობის საფუძველი იყოს ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლება. ეს შეიძლება მოითხოვდეს განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას მოწყვლადი და მზრუნველობა მოკლებული ჯგუფებისადმი.

## პრინციპი 4.

### სექსუალობა და მისგან გამომდინარე სიამოვნება წარმოადგენს ადამიანისთვის მნიშვნელოვან ასპექტს, მიუხედავად იმისა სურს იყოლიოს შვილი თუ არა

სქესობრივი ჯანმრთელობა მთელ ცხოვრებას მოიცავს. სექსუალობა არის თითქმის ყველა ადამიანის სასიცოცხლო ციკლის მანძილზე გადაწყვეტილების ერთ-ერთი განუყოფელი ფაქტორი; თუმცა, ამავე დროს, ეს არის ადამიანის შემადგენელი ნაწილი, მიუხედავად იმისა მას სურს შვილების ყოლა, თუ არა.

სექსუალობა არ არის მხოლოდ რეპროდუქციული ინტერესების დამაკმაყოფილებელი ინსტრუმენტი. რეპროდუქციისაგან დამოუკიდებლად სექსუალობა და სექსუალობისაგან დამოუკიდებლად რეპროდუქციის უფლება დაცული უნდა იქნას, ხოლო განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ჯგუფებს, რომლებიც წარსულში თუ ამჟამად ასეთი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობებს მოკლებულნი არიან.

## პრინციპი 5.

### სექსუალური უფლებების უზრუნველყოფა ნიშნავს მისი თავისუფლებისა და ყოველგვარი ზიანის მიყენებისაგან დაცვას.

სწორედ ძალადობისა და ზიანის ყველანაირი გამოვლინების წინააღმდეგ მიმართული კანონიერი ქმედებების შესაძლებლობა ამყარებს სექსუალურ უფლებებს. სექსუალობასთან დაკავშირებული საზიანო ქმედება მოიცავს ფიზიკურ, სიტყვიერ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ ძალადობას და სქესობრივი ხასიათის შეურაცხყოფას. გარდა ამისა, სექსუალობასთან დაკავშირებული ზიანი მოიცავს ამა თუ იმ პირების მიმართ მათი სქესის, ასაკის, გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციის, ოჯახური მდგომარეობის, სქესობრივი გამოცდილების და ქცევის გამო მათ დისკრიმინაციას.

ყველა ბავშვს და მოზარდს აქვს უფლება, განსაკუთრებული ფორმით იყოს დაცული ექსპლუატაციის ყოველგვარი ფორმისაგან. ეს მოიცავს დაცვას სქესობრივი ექსპლუატაციისაგან, ბავშვთა პროსტიტუციისაგან, სქესობრივი შეურაცხყოფის, ძალადობისა და სექსუალური შევიწროების ყოველგვარი ფორმისაგან. ასევე, ბავშვები განსაკუთრებული ზომებით უნდა იყვნენ დაცულები ამა თუ იმ სქესობრივ აქტივობასა თუ პრაქტიკაში, პორნოგრაფიულ წარმოდგენებსა და მასალებში ჩართულობისაგან.

## პრინციპი 6.

### სექსუალური უფლებები შეიძლება შეიზღუდოს კანონით დადგენილი წესით, თუ ეს განპირობებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო, თუ საზოგადოებრივი უშიშროების, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად

სექსუალური უფლებები, ისევე, როგორც ადამიანის სხვა უფლებები, შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ იმ შეზღუდვებს, რომლებიც კანონით არის დადგენილი და ემსახურება საზოგადოებრივ კეთილდღეობას და სხვების უფლებებისა და თავისუფლების დაცვას. ასეთი შეზღუდვები უნდა იყოს არადისკრიმინაციული, აუცილებელი, პროპორციული, ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის. სექსუალური უფლებების გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს პირად და

სოციალურ ინტერესებს შორის დინამიურ ურთიერთობას, ხედვის მრავლობითობის არსებობის აღიარებას და თანასწორობას, ღირსებისა და განსხვავებულობის მიმართ პატივისცემას.

## პრინციპი 7.

### პატივისცემის, დაცვისა და აღსრულების ვალდებულება ვრცელდება ყველა სექსუალურ უფლებასა და თავისუფლებაზე

სექსუალური უფლებები და თავისუფლება მოიცავს ძირითად სამართლებრივ მოთხოვნებს და ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებების ხელმისაწვდომობას. ისევე, როგორც ადამიანის სხვა უფლებების შემთხვევაში, სახელმწიფოებს შემდეგი ვალდებულებები ეკისრება: ყველა ადამიანის სექსუალური უფლებების პატივისცემა, დაცვა და რეალიზების შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

პატივისცემის ვალდებულება სახელმწიფოებისაგან მოითხოვს, თავი შეიკავონ პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევისაგან ამა თუ იმ უფლებაში, ამ შემთხვევაში, სექსუალურ უფლებებში. დაცვის ვალდებულება სახელმწიფოებისაგან მოითხოვს, მიიღონ პრევენციული ღონისძიებები, რათა მესამე მხარის მიერ არ მოხდეს ამ უფლებების რეალიზებაში ხელის შეშლა. ამ უფლებებით რეალიზების შესაძლებლობების უზრუნველყოფა გულისხმობს სახელმწიფოების ვალდებულებას მიიღონ სათანადო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, საბიუჯეტო, სასამართლო, საინფორმაციო და სხვა ზომები, საჭიროებისამებრ.

## სექსუალური უფლებები და ადამიანის უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია სექსუალობასთან

IPPF ადასტურებს, რომ სექსუალური უფლებები არის ადამიანის უფლებების ძირითადი ნაწილი. სექსუალური უფლებები შედგება იმ უფლებებისაგან, რომლებიც დაკავშირებულია სექსუალობასთან და რომლებიც გამომდინარეობს ყველა ადამიანის თავისუფლების, თანასწორობის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, ავტონომიის, ხელშეუხებლობისა და ღირსების უფლებებიდან.

## ათი სექსუალური უფლება:

**მუხლი 1.** თანასწორობის უფლება, კანონის წინაშე თანასწორობა და უფლება იყო თავისუფალი, დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმისაგან განურჩევლად სქესის, გენდერული იდენტობისა თუ სექსუალური ორიენტაციისა

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია. ყველა ადამიანს აქვს უფლება, თანასწორად იქნას დაცული კანონის წესით, დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმისაგან, სქესის, სექსუალობის, გენდერული იდენტობისა თუ სხვა ნიშნით.

**მუხლი 2.** მონაწილეობის უფლება, სქესის, სექსუალობის თუ გენდერული იდენტობის მიუხედავად

ყველა ადამიანს აქვს უფლება, იცხოვროს ისეთ გარემოში, რომელშიც შესაძლებელია აქტიური და თავისუფალი მონაწილეობა და წვლილის შეტანა სამოქალაქო, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე. შედეგად შესაძლებელია ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების რეალიზება.

**მუხლი 3.** სიცოცხლის, თავისუფლების, დაცვისა და ხელშეუხებლობის უფლებები.

ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, აქვს სიცოცხლის, თავისუფლების უფლება, უფლება არ დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას. ეს, ასევე მოიცავს

ყოველი ადამიანის უფლებას, ისარგებლოს თავისი სექსუალობით ყოველგვარი ძალადობისა თუ იძულების გარეშე.

**მუხლი 4.** პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, აქვს უფლება, არ დაექვემდებაროს თვითნებურ ჩარევას მის პირად ცხოვრებაში, ოჯახში, დოკუმენტებსა თუ კორესპონდენციებში. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სექსუალური დამოუკიდებლობით სარგებლობისათვის.

**მუხლი 5.** პერსონალური დამოუკიდებლობისა და კანონის წინაშე აღიარების უფლება

ყველა ადამიანს აქვს კანონის წინაშე აღიარებისა და სექსუალური თავისუფლების უფლება, რომელიც მოიცავს ადამიანის შესაძლებლობას, თავად გააკონტროლოს და გადაწყვიტოს სექსუალობასთან დაკავშირებული საკითხები, აირჩიოს სექსუალური პარტნიორი, სრულად გამოავლინოს საკუთარი სექსუალური პოტენციალი და მიიღოს სიამოვნება, სხვისი უფლებების დაცვით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, ბავშვების შესაძლებლობების განვითარების სათანადო პატივისცემის ფარგლებში.

**მუხლი 6.** ფიქრის, აზრისა და გამოხატვის უფლება; გაერთიანების უფლება.

ყველა ადამიანს აქვს ფიქრის, აზრის და გამოხატვის უფლება სექსუალობასთან, სექსუალურ ორიენტაციასთან თუ გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებით, თვითნებური ჩარევისა და დომინანტური კულტურული რწმენის თუ პოლიტიკური იდეოლოგიების გავლენის, თუ დისკრიმინაციული ხასიათის სახალხო მორალის, ჯანდაცვისა თუ უსაფრთხოების დაცვის გარეშე.

**მუხლი 7.** ჯანდაცვისა და მეცნიერული პროგრესის მიღწევების ხელმისაწვდომობის უფლება.

ყველა ადამიანს აქვს უფლება, ისარგებლოს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი სტანდარტით, რომელიც მოიცავს ჯანმრთელობისა და სქესობრივი ჯანმრთელობის დაცვის დეტერმინანტებს ყოველგვარი სქესობრივი პრობლემისა და

აშლილობის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის.

**მუხლი 8.** განათლებისა და ინფორმირებულობის უფლება.

ყველა ადამიანს, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, აქვს სრულყოფილი სქესობრივი განათლებისა და ინფორმაციის მიღების უფლება, რომელიც აუცილებელი და სასარგებლოა სრულყოფილი მოქალაქეობისა და თანასწორობის უფლებებით სარგებლობისათვის პირად, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სივრცეში.

**მუხლი 9.** ქორწინების, ოჯახის შექმნის, დაგეგმვის და შვილების ყოლის, შვილების ყოლის გზებისა და დროის არჩევანის უფლება.

ყველა ადამიანს აქვს უფლება, აირჩიოს, დაქორწინდეს თუ არა, შექმნას და დეგეგმოს თუ არა ოჯახი, როდის იყოლიოს შვილები, თავისუფლად და პასუხისმგებლობის გრძნობით გადაწყვიტოს მათი რაოდენობა. იცხოვროს ისეთ გარემოში, სადაც კანონი და პოლიტიკა აღიარებს ურთიერთობის ფორმების სხვადასხვაგვარობას, მათ შორის ისეთ ფორმებს, რომლებიც არ არის განსაზღვრული მემკვიდრეობით თუ ქორწინებით.

**მუხლი 10.** ანგარიშვალდებულებისა და კომპენსაციის უფლება.

ყველა ადამიანს აქვს უფლება ხელი ხელი მიუწვდებოდეს ეფექტურ, ადექვატურ, ხელმისაწვდომ და შესაბამის აღმზრდელობით, საკანონმდებლო, სამართლებრივ და სხვა ზომებზე. უფლება, მოითხოვოს თავისი სექსუალური უფლებების დაცვა იმ პირებისაგან, რომლებიც ამ საკითხთან დაკავშირებით ანგარიშვალდებულნი არიან. ეს ბევრად ეფექტურს გახდის სექსუალური უფლებების განხორციელებისა და მათი დარღვევის შემთხვევაში სამართლებრივი დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობას და მონიტორინგის შესაძლებლობას. ასევე სრული კომპენსაციის ხელმისაწვდომობას რესტიტუციის, რეაბილიტაციის, დაკმაყოფილების, განუმეორებლობის გარანტიის თუ სხვა საშუალებების მეშვეობით.

**სექსუალური უფლებები:** IPPF დეკლარაცია უზრუნველყოფს ერთმნიშვნელოვან სტრუქტურას. ამ სტრუქტურის ფარგლებში წევრ ასოციაციებს შეუძლიათ თავიანთი, როგორც სერვის პროვაიდერების, პასუხისმგებლობების გაგება. ისინი უკეთ იქნებიან

აღჭურვილნი იმისათვის, რომ დაიწყონ ან გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა. სერვისპროვაიდერებს ეძლევათ საშუალება ბენეფიციარებს მისცენ სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების სრული რეალიზების შესაძლებლობა. დეკლარაცია, ასევე, შეასრულებს სახელმწიფოებისათვის მათი პასუხისმგებლობის შეხსენების ინსტრუმენტის ფუნქციას. კერძოდ, მომდევნო გლობალური ინიციატივის დაგეგმვისას, რომელიც ყურადღებას გაამახვილებს სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე.

დეკლარაცია წარმოადგენს ადვოკატირების ჩარჩოს დოკუმენტს, რომელიც შეახსენებს სამთავრობო უწყებებს თავიანთ მოვალეობებს. უფრო ზუსტად, დოკუმენტი, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, მისცემს შესაძლებლობას, დაინახონ მნიშვნელობა და გაითვალისწინონ სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების საკითხები თავიანთი ინიციატივების დაგეგმვის დროს. დეკლარაცია დაეხმარება სამთავრობო უწყებებს უკეთ გაიგონ და დაინახონ კავშირი სექსუალურ უფლებებს, საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და განვითარებას შორის.

## პრეამბულა

**სექსუალური უფლებები:** IPPF დეკლარაცია ეფუძნება ადამიანის უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო დოკუმენტებს, საერთაშორისო სტანდარტების ავტორიტეტულ ინტერპრეტაციებს და დამატებით უფლებებს, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის სექსუალობასთან, და თავის მხრივ, IPPF-ის აზრით, ამ უფლებებში იგულისხმება.

დეკლარაციას საფუძვლად უდევს დოკუმენტები, რომლებიც შემუშავებული იქნა გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებების მსოფლიო კონფერენციაზე 1993 წელს; გაერთიანებული ერების მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციაზე 1994 წელს; გაერთიანებული ერების ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე 1995წელს, დოკუმენტში“ გაერთიანებული ერების ათასწლეულის დეკლარაცია და ათასწლეულის განვითარების გეგმები“. მასში, ასევე, ასახულია გაერთიანებული ერების ხელშეკრულებების მონაწილე მხარეებისა და გაერთიანებული

ერების სპეციალური მომხსენებლების დასკვნები და რეკომენდაციები, კერძოდ, ჯანდაცვის უმაღლესი ხარისხის მიღწევის უფლებების შესახებ სპეციალური მომხსენებლის მიერ ადამიანის უფლებების დაცვის კომისიისათვის ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვის ხელშეწყობას, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. IPPF დარწმუნებულია, რომ ჯანმრთელობის დაცვა წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას, რომელიც აუცილებელია ადამიანის ყველა სხვა უფლებით სარგებლობისათვის. იგი, ასევე, დარწმუნებულია, რომ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვა წარმოადგენს ყველა ადამიანის უფლებას, ჰქონდეს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შეძლებისდაგვარად უმაღლესი სტანდარტი.

სქესობრივი ჯანმრთელობის მიღწევა თუ შენარჩუნება შეუძლებელია სექსუალური უფლებების გარეშე, მაგრამ, სექსუალური უფლებები მოიცავს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ უფლებამოსილებაზე მეტს. სექსუალური უფლებები ეხება სპეციალურ ნორმებს, რომლებიც წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ადამიანის არსებული უფლებები სექსუალობაზე ვრცელდება. ეს უფლებები მოიცავს ყველა ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, დამოუკიდებლობასა და ღირსებას; იმ პრინციპებს, რომლებიც აღიარებულია მრავალ საერთაშორისო დოკუმენტში, რომლებიც კონკრეტულად სექსუალობას ეხება. სექსუალური უფლებები გვთავაზობს მიდგომას, რომელიც მოიცავს და ამავდროულად ცდება კიდეც კონკრეტული ინდივიდების დაცვას. სექსუალური უფლებები წარმოადგენს ისეთი პირობების გარანტიას, რომლებშიც შესაძლებელია სექსუალობის გამოხატვა ყოველგვარი იძულების, დისკრიმინაციის, ძალადობის გარეშე და ღირსებისადმი პატივისცემის კონტექსტში.

IPPF აღიარებს, რომ სექსუალობა ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი ცენტრალური ასპექტია. მიუხედავად იმისა, რომ სექსუალობა შეიძლება მოიცავდეს ყველა მომდევნო განზომილებას, ყველა მათგანის გამოცდილება თუ გამოხატვა ყოველთვის არ ხდება. ეს არის განვითარებადი კონცეფცია, რომელიც მოიცავს სექსუალურ აქტივობას, გენდერულ იდენტობას, სექსუალურ ორიენტაციას, სიამოვნებას, ინტიმურობასა და რეპროდუქციას. იგი შედგება

ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, ეთიკური, სამართლებრივი, ისტორიული, რელიგიური და მენტალური ფაქტორებისაგან. სექსუალობის განცდა და გამოხატვა ხდება ფიქრებში, ფანტაზიებში, სურვილებში, რწმენაში, დამოკიდებულებებში, ღირებულებებში, ქცევებში, პრაქტიკებსა და ურთიერთობებში.

IPPF-სათვის ცნობილია, რომ სექსუალობის ბევრი გამოხატულება არარეპროდუქციულია და რომ სექსუალობის გლობალური ცნობიერება განვითარებადია. ამდენად, IPPF აღიარებს სექსუალური უფლებების კონკრეტული, არა რეპროდუქციული უფლებებისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ქვეჯგუფად იდენტიფიცირების საჭიროებას. IPPF მიიჩნევს, რომ სექსუალური უფლებების რეალიზების პირობების შექმნის ვალდებულება მოიცავს მის უფრო ფართო გაგების ვალდებულებას. ამგვარი ვალდებულება მოიცავს ლოკალურ და გლობალურ ბრძოლას თანასწორობისათვის, მშვიდობისათვის, ზოგადი, სოციალური და საერთაშორისო წესრიგის უფლების ხელმისაწდომობას, როდესაც შესაძლებელია ყველა ადამიანის ღირსების, უფლებებისა და თავისუფლების სრულად რეალიზება.

სექსუალური უფლებების აღსრულება აუცილებელია ინდივიდის, როგორც ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური განვითარების პროცესის სუბიექტის, აქტიური მონაწილისა და ბენეფიციარის პრიორიტეტულობისათვის. რომელშიც შესაძლებელია ადამიანის ყველა უფლებისა და ფუნდამენტური თავისუფლების სრულად რეალიზება. IPPF დარწმუნებულია, რომ უფლებებით სარგებლობისათვის საჭირო პირობების შექმნის ერთ-ერთი მთავარ ასპექტს წარმოადგენს ანგარიშვალდებული სტრუქტურების განვითარება. ასეთი სტრუქტურები უნდა უზრუნველყოფდნენ არა მარტო ინდივიდუალურ სამართლებრივ დაცვასა და კომპენსაციას, არამედ, ასევე, იმ ძალაუფლების, პრაქტიკისა და მნიშვნელობის მექანიზმებით დაინტერესებას, რომლებიც იწვევენ სექსუალური უფლებების დარღვევას. IPPF აღიარებს, რომ სწორედ ეს აძლევს საფუძველს მისი მომსახურეობების გაწევისა და განმარტებით-ადვოკატირებულ ძალისხმევას. ამდენად, IPPF მის წევრ ასოციაციებს ურჩევს: დეკლარაცია, მათი საქმიანობის მთელს პროცესში,

სახელმძღვანელოდ გამოიყენონ სექსუალური უფლებების პატივისცემის, დაცვისა და წინ წამოწევისათვის. ასევე ვალდებულების ინტეგრირებისა და მათი მიმდინარე პოლიტიკის, სტრატეგიებისა და პროგრამების განმტკიცებისა და გაფართოებისთვის.

დეკლარაცია წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტს, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის საბაზო უფლებების სექსუალობაზე გავრცელების გათვითცნობიერების ხარისხის ამაღლებას. ფედერაციის ყველა კომპონენტს აქვს შესაძლებლობა იხელმძღვანელოს ამ ჩარჩო დოკუმენტით და მისი საბაზო პრინციპების გაერთიანება მოახდინოს თავის საქმიანობაში, მომსახურეობებსა და პროგრამებში. ამ ღონისძიების დანერგვით, უკეთ იქნება შესრულებული სექსუალური უფლებების ადვოკატირების საკითხი, განმტკიცებული და გაფართოებული იქნება თემატური, მიმდინარე პოლიტიკები და სტრატეგიები.

IPPF აღიარებს ადამიანის უნივერსალურ, ხელშეუვალ და განუყოფელი უფლებებს, მათ შორის სექსუალური უფლებებს. ასევე, იგი აღიარებს, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში არსებულმა პირობებმა შეიძლება გარკვეული შემაფერხებელი ზეგავლენა მოახდინოს წინამდებარე დეკლარაციაში განსაზღვრული პრინციპებისა და უფლებების განხორციელებაზე. ასეთი სიტუაციების განსაზღვრისა და მხედველობაში მიღების მიზნით სპეციალური პროცესები იქნება განხორციელებული.

სექსუალური უფლებები: IPPF დეკლარაცია IPPF მმართველი კომიტეტის მიერ 2008 წლის 10 მაისს იქნა მიღებული.

## ზოგადი პრინციპები

IPPF იმედოვნებს, რომ ყველა წევრი ასოციაცია გაიზიარებს ფედერაციის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, მათ შორის, იმ პრონციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს წინამდებარე დეკლარაციას და გაერთიანებულია მასში.

ეს პრინციპები ასახული უნდა იქნას იმ პროგრამებსა და სტრატეგიებში, რომლებიც ფედერაციის წევრების მიერ იქნა შემუშავებული იმ სექსუალური უფლებების წინ წამოწევის, დაცვისა და რეალიზების მიზნით, რომლებიც მითითებულია წინამდებარე დეკლარაციის შემდეგი დასახელების ნაწილში: **სექსუალური უფლებები არის ადამიანის უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის სექსუალობასთან.**

## პრინციპი 1

სექსუალობა არის ყოველი ადამიანის პიროვნების განუყოფელი ნაწილი. ამის გათვალისწინებით, აუცილებელია ისეთი გარემოს შექმნა, რომელშიც თითოეულ ადამიანს შეეძლება ყველა სექსუალური უფლებით სარგებლობა განვითარების პროცესის ფარგლებში.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული პირების სექსუალობის განცდა ისეთი გზებით ხდება, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან შიდა და გარე ფაქტორებზე დამოკიდებულებით, ადამიანის სექსუალობასთან დაკავშირებული უფლებები, მათი დაცვა და წინ წამოწევა უნდა წარმოადგენდეს თითოეული ადამიანის ყოველდღიური არსებობის ნაწილს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი. სექსუალური უფლებები არის ადამიანის უნივერსალური უფლებების ნაწილი, რომლებსაც საფუძვლად უდევს ყველა ადამიანის თავისუფლება, ღირსება და თანასწორობა.

სიღარიბე არის სქესობრივი ჯანმრთელობის გაუარესებისა და სექსუალური უთანასწორობისა და გამონაკლისების როგორც მიზეზი, ისე შედეგი. პროგრამის დაგეგმვა უნდა მოიცავდეს სიღარიბის კავშირს აღნიშნულ პრობლემებთან და მის როლს ადამიანის უფლებებით სარგებლობასა და მათ ხელყოფაში. განსაკუთრებით, სექსუალურ უფლებებზე მის ზეგავლენას.

**უთანასწორობის, მათ შორის გენდერული უთანასწორობის და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების** გადაჭრას უნდა ისახავდეს მიზნად განვითარების ყველა პროექტი, პროგრამა და ჩარჩო დოკუმენტები, რომელიც შემუშავებულია ათასწლეულის განვითარების მიზნების საფუძველზე. ათასწლეულის განვითარების გეგმების მიღწევა

- დედების ჯანმრთელობის გაუმჯობესება, ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და ბრძოლა აივ ინფექცია/ შიდსის წინააღმდეგ

- სხვა მიზნებს შორის, პირდაპირ დამოკიდებულებაშია სქესობრივი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურეობების საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და სექსუალური უფლებების დაცვასთან. სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების დაცვის წესდების შესაბამისად, IPPF ადასტურებს, რომ ადამიანი არის განვითარების ცენტრალური სუბიექტი და აღიარებს ისეთი ხელსაყრელი გარემოს შექმნის მნიშვნელობას, რომელშიც თითოეულ ადამიანს შეეძლება სექსუალური უფლებებით სარგებლობა, რათა შეძლოს აქტიური მონაწილეობის მიღება ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკური განვითარების პროცესში. სექსუალობა არის ადამიანისა და სოციალური ცხოვრების ერთ-ერთი ასპექტი, რომელიც უკავშირდება სხეულს, გონებას, პოლიტიკას, ჯანმრთელობასა და საზოგადოებას.

სექსუალური უფლებები მოიცავს გამოხატვით, შეკრების და მონაწილეობით ელემენტებს და მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთიანობასა და დამოუკიდებლობასთან. სექსუალური უფლებების აღიარებისა და მათი გარანტირებისათვის ვალდებულების დაკისრებით IPPF ადასტურებს, რომ ამ უფლებების პატივისცემა, დაცვა და რეალიზება მოითხოვს ყურადღების მიქცევას თითოეულ სფეროსა და ელემენტზე; რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ადამიანური აქტივობის პირად და საჯარო სფეროებში მიმდინარე ისტორიული პროცესების ნაწილს.

## პრინციპი 2

18 წლამდე პირების სექსუალური უფლებების დაცვა გარკვეულ შემთხვევებში განსხვავებული მიდგომებს საჭიროებს. სექსუალური უფლებების რეალიზებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ 18 წლამდე პირთა საუკეთესო ინტერესები და ვაღიაროთ მათი გადაწყვეტილების მიღების უფლება.

IPPF აღიარებს, რომ თვრამეტ წლამდე ასაკის ადამიანებისათვის გარანტირებული უფლებები და დაცვის საშუალებები, საერთაშორისო და ეროვნული კანონების შესაბამისად, ზოგჯერ განსხვავდება სრულწლოვანი პირების უფლებებისა და დაცვის გარანტიებისგან. ეს განსხვავებები უკავშირდება ადამიანის უფლებების ყველა ასპექტს, მაგრამ მოითხოვს კონკრეტულ მიდგომებს სექსუალური უფლებების მიმართ. IPPF აღიარებს, რომ თვრამეტ (18) წლამდე ასაკის პირები უფლებების მფლობელები არიან და რომ ჩვილობის, ბავშვობისა და მოზარდობის სხვადასხვა პერიოდში, გარკვეული უფლებები და დაცვის საშუალებები, მეტ ან ნაკლებ მნიშვნელობას იძენენ.

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, ბავშვზე პასუხისმგებელი მშობლების ან მეურვეების მიერ მიცემული მიმართულება თუ აღმზრდელობითი ნაწილი, უნდა ითვალისწინებდეს ბავშვისთვის შესაძლებლობას, თავად ისარგებლოს საკუთარი უფლებებით. ბავშვების შესაძლებლობების განვითარების კონცეფცია მოითხოვს ბალანსს შემდეგ საკითხებს შორის: ბავშვების აღიარება აქტიურ პიროვნებებად საკუთარ პირად ცხოვრებაში, რომლებიც იმსახურებენ პატივისცემას, როგორც მოქალაქეები, და მათი აღიარება უფლებების მატარებლებად, რომელთა დამოუკიდებლობა სულ უფრო და უფრო იზრდება.

ეს კონცეფცია აღიარებს, რომ დაცვის ხარისხი ისეთ საქმიანობაში მონაწილეობისაგან, რომელიც შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს ბავშვებისათვის, შემცირდება მათთვის შესაძლებლობების განვითარების მიხედვით. შესაძლებლობების განვითარების პრინციპი აერთიანებს პატივისცემას ბავშვებისა და მათი უფლებებისადმი, ანიჭებს მათ უფლებას, დაცულნი იყვნენ ზიანის ნებისმიერი ფორმისაგან, თუმცა, ამავე დროს აღიარებს მათი

წვლილის მნიშვნელობას მათივე დაცვაში. საზოგადოებამ უნდა შექმნას ისეთი გარემო, რომელშიც ოპტიმალური შესაძლებლობების მიღწევა და უფრო დიდი პატივისცემა იქნება გამოხატული ბავშვების საკუთარ ცხოვრებაში მონაწილეობის, პასუხისმგებლობისა და გადაწყვეტილებების მიღების პოტენციალის მიმართ. ბავშვების უფლებებსა და სხვა ინტერესებს შორის ურთიერთკავშირს რამდენიმე უმთავრესი პრინციპი არეგულირებს. მათ შორისაა: თვრამეტ წლამდე ასაკის პირების აღქმა უფლებების მფლობელებად; ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა; ბავშვის შესაძლებლობების განვითარების უზრუნველყოფა; არადისკრიმინაციული მიდგომები და პასუხისმგებლობა კეთილდღეობისათვის შესაფერისი პირობების უზრუნველყოფაზე. სექსუალური უფლებების კონტექსტში, ეს პრინციპები მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას, რომელშიც გათვალისწინებულია ისეთი გარემოებები, როგორიცაა ბავშვის თუ მოზარდის სპეციფიური ცნობიერება, აქტივობა, ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის მდგომარეობა, ურთიერთობა მშობლებთან ან სხვა დაინტერესებულ პირებთან და არსებული პრობლემების ხასიათი.

## პრინციპი 3

### არადისკრიმინაციული მიდგომები საფუძვლად უდევს ადამიანის ყველა უფლების დაცვასა და ხელშეწყობას.

IPPF იზიარებს, რომ არადისკრიმინცაიული ჩარჩო თან სდევს ადამიანის თითოეული უფლების დაცვასა და ხელშეწყობას. ეს ჩარჩო კრძალავს რაიმე სახის გამორჩევას, გამორიცხვას თუ შეზღუდვას სქესის, ასაკის, გენდერის, გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციის, ოჯახური მდგომარეობის, სქესობრივი გამოცდილების, რასის, კანის ფერის, ეთნიკური წარმომავლობის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების გამო. ანტიდისკრიმინაციული მიდგომები ასევე კრძალავს გამორჩევას ეროვნული, სოციალური თუ გეოგრაფიული წარმოშობის ნიშნით. ასევე, დაუშვებელია გამორჩევა ქონების, დაბადების, ფიზიკური თუ მენტალური მდგომარეობის, ჯანმრთელობის, მათ შორის აივ ინფექცია/შიდსის და სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური თუ სხვა ნიშნის გამო. ამგვარი მიდგომის მიზანია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ,

სამოქალაქო თუ სხვა სფეროში ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების თანასწორი აღიარება. მიუღებელია ამ უფლებების ხელყოფა ან მათი რეალიზებისას ბარიერის შექმნა.

დისკრიმინაცია, სექსუალური უფლებების თვალსაზრისით, შეიძლება გამოიხატოს კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური უფლებების უთანასწორო ხელმისაწვდომობაში სქესის, ასაკის, გენდერის, გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციის, ოჯახური მდგომარეობის, სქესობრივი გამოცდილების, სქესობრივი პრაქტიკის ან სექსუალური ორიენტაციის გამო. დისკრიმინაცია გამოიხატება ასევე, ისეთი სექსუალური უფლებების ხელყოფაში, როგორიცაა სქესობრივი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურეობებით სარგებლობა, სრულყოფილი სქესობრივი განათლება და სამართლებრივი დაცვა სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, რაც ერთიანობაში დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს ამა თუ იმ პირის მიერ უფლებებით სარგებლობის თვალსაზრისით. ცალკეული პირები სხვადასხვაგვარ ბარიერებს აწყდებიან მათი სექსუალური უფლებებით სარგებლობისას. რეალური თანასწორობა მოითხოვს ამ ბარიერების აღმოფხვრას იმისათვის, რომ ადამიანებმა ისარგებლონ ფუნდამენტური უფლებებითა და თავისუფლებით სხვების მსგავსად. ეს მოითხოვს განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას მოწყვლადი და განსაკუთრებული ზრუნვის საჭიროების მქონე ჯგუფებისათვის.

## პრინციპი 4

### სექსუალობა და მისგან გამომდინარე სიამოვნება კაცობრიობის არსებობის ერთ- ერთი ცენტრალური ასპექტია, მიუხედავად იმისა, პირი აირჩევს თუ არა შვილის ყოლას

სქესობრივი ჯანმრთელობა მთელს ცხოვრებას მოიცავს. სექსუალობა არის თითქმის ყველა ადამიანის სასიცოცხლო ციკლის მანძილზე გადაწყვეტილების ერთ-ერთი განუყოფელი ფაქტორი; თუმცა, ამავე დროს, ეს არის ადამიანის სიცოცხლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი, მიუხედავად იმისა, სურს თუ არა მას შვილის ყოლა. სექსუალობა არ არის მხოლოდ რეპროდუქციული ინტერესების დამაკმაყოფილებელი ინსტრუმენტი. რეპროდუქციის უფლება

დაცული უნდა იყოს დამოუკიდებლად სექსუალობისგან და ასევე პირიქით. ამავე დროს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ ჯგუფებს, რომლებიც წარსულში თუ ამჟამად ასეთ უფლებებს მოკლებულნი არიან.

ყველა ადამიანს აქვს უფლება, იყოს ისეთ პირობებში, რომლებშიც შესაძლებელია სიამოვნების მომტანი სექსუალობის განცდა. სიამოვნება ეფუძნება ინდივიდუალურ და ურთიერთობრივ დამოუკიდებლობას, რისთვისაც აუცილებელია, არსებობდეს ისეთი სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ეხება სექსუალობის საგანმანათლებლო სფეროს, ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებს, თავისუფლებას იძულებითი და ძალადობრივი ქმედებების გარეშე, ასევე, აუცილებელია ეთიკური ნორმების შემუშავებას სამართლიანობის, თანასწორობისა და თავისუფლების საკითხების ირგვლივ. იმის გათვალისწინებით, რომ სიამოვნება სექსუალობის დამახასიათებელ ასპექტს წარმოადგენს, მისი მიღების, გამოხატვისა და დროის განსაზღვრის უფლება ყველასთვის უნდა იყოს დაცული.

## პრინციპი 5

### თითოეული ადამიანის სექსუალური უფლებების გარანტირება მოიცავს თავისუფლებისა და ზიანისაგან დაცვის ვალდებულებას

სწორედ ძალადობისა და ზიანის ყველა ფორმისაგან დაცულობისა და რეგრესის უფლება ამყარებს სექსუალურ უფლებებს. სექსუალობასთან დაკავშირებული ზიანი მოიცავს ფიზიკური, სიტყვიერი, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და სქესობრივი ხასიათის შეურაცხყოფას და, ასევე, ძალადობას ამა თუ იმ პირების მიმართ მათი სქესის, ასაკის, გენდერული იდენტობის, სექსუალური ორიენტაციის, ოჯახური მდგომარეობის, სქესობრივი გამოცდილების და ქცევის გამო. ყველა ბავშვს და მოზარდს აქვს სპეციალური უფლება, დაცული იყოს ექსპლუატაციის ყოველგვარი ფორმისაგან. ეს მოიცავს დაცვას სქესობრივი ექსპლუატაციისაგან, ბავშვთა პროსტიტუციისაგან და სქესობრივი შეურაცხყოფის, ძალადობისა და შევიწროების ყოველგვარი ფორმისაგან, მათ შორისაა ბავშვის იძულებითი ჩართვა ამა თუ იმ სქესობრივ აქტივობასა თუ პრაქტიკაში და ბავშვების გამოყენება პორნოგრაფიულ წარმოდგენებსა და

მასალებში.

## პრინციპი 6.

### სექსუალური უფლებების შეზღუდვა შესაძლებელია განხორციელდეს, მხოლოდ კანონის წესით, რათა დაცული იქნეს საყოველთაოდ აღიარებული ადამინის უფლებები და თავისუფლება

სექსუალური უფლებები, ისევე, როგორც ადამიანის სხვა უფლებები, შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ იმ შეზღუდვებს, რომლებიც კანონით არის დადგენილი იმ მიზნით, რომ დაცული იქნას სხვათა უფლებები და თავისუფლება, საყოველთაო კეთილდღეობა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხოება, კანონის შესაბამისად. ასეთი შეზღუდვები უნდა იყოს არადისკრიმინაციული, აუცილებელი და პროპორციული ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის. სექსუალური უფლებების გამოყენება უნდა ხელმძღვანელობდეს პირად და სოციალურ ინტერესებს შორის დინამიური ურთიერთობის, ხედვის მრავლობითობის არსებობის აღიარებას, თანასწორობის, ღირსებისა და განსხვავებულობის მიმართ პატივისცემის გარანტირების საჭიროებას.

## პრინციპი 7.

### ვალდებულება დაიცვა და პატივი სცე ადამიანთა სექსუალურ უფლებებს და უზრუნველყო ამ უფლებებით თავისუფლად სარგებლობის შესაძლებლობა ყველასთვის

სექსუალური უფლებები და თავისუფლებები მოიცავს ძირითად სამართლებრივ მოთხოვნებს და ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებების ხელმისაწვდომობას. ისევე, როგორც ადამიანის სხვა უფლებების შემთხვევაში, სახელმწიფოებს შემდეგი ვალდებულებები ეკისრება: ყველა ადამიანის სექსუალური უფლებების პატივისცემა, დაცვა და აღსრულება. პატივისცემის ვალდებულება სახელმწიფოებისაგან მოითხოვს, თავი შეიკავონ პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევისაგან ამა თუ იმ უფლებაში, ამ შემთხვევაში, სექსუალურ უფლებებში. დაცვის ვალდებულება სახელმწიფოებისაგან მოითხოვს, მიიღონ ისეთი ზომები, რომლებიც მესამე მხარეს არ აძლევენ ადამიანის უფლებების გარანტიებში ჩარევის უფლებას.

სექსუალური უფლებების რეალიზების ვალდებულება სახელ-მწიფოებისაგან მოითხოვს, მიიღონ სათანადო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, საბიუჯეტო, სასამართლო, სარეკლამო და სხვა ზომები უფლებების სრული რეალიზაციისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო რჩება უპირველეს პასუხისმგებელ პირად ადამიანის უფლებების პატივისცემის, დაცვისა და ხელშეწყობის თვალსაზრისით,სამოქალაქო საზოგადოების სხვა წევრებს, რომელთა ქმედებები თუ შეცდომები უარყოფით ზეგავლენას ახდენ სექსუალური უფლებებით სარგებლობაზე, ასევე, გარკვეული პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ. ეს შეიძლება მოიცავდეს სხვა სახელმწიფოებს, ტრანს-სასაზღვრო ორგანოებსა და პროგრამებს, რომლებიც მუშაობენ დახმარების გაწევის მიზნით, უსაფრთხოების დაცვის სტრუქტურებს და სხვა გაერთიანებებს, ასევე, არასახელმწიფო ორგანოებს, რომლებიც მოიცავენ როგორც კომერციულ, ისე არასამეწარმეო იურიდიულ პირებს და რელიგიურ საზოგადოებებს, ისევე როგორც ცალკეულ პირებს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ადამიანის სექსუალური უფლებების დარღვევისა ან ამ უფლებებში ჩარევისაგან, უნდა დაიცვან ეს უფლებები მესამე მხარის მიერ ხელყოფისა და

დარღვევისაგან და უნდა მიიღონ პოზიტიური ზომები და ქმედებები. ამგვარი ზომებია ეფექტური, თანამგრძნობი და პასუხისმგებელი დაწესებულებების შექმნა და რესურსების განაწილება სექსუალური უფლებების რეალიზების მიზნებისათვის. IPPF იღებს ვალდებულებას, შესაძლებლობების ფარგლებში, გააკეთოს ყველაფერი, იმისათვის, რომ დაარწმუნოს ყველა წევრი-ასოციაცია, საკუთარი როლი შეასრულონ სექსუალური უფლებების პატივისცემის დაცვასა და აღსრულებაში, მათი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, საბიუჯეტო და სხვა პოლიტიკისა და პრაქტიკის ფარგლებში.

## სექსუალური უფლებები არის ადამიანის უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის სექსუალობასთან

IPPF ადასტურებს, რომ სექსუალური უფლებები არის ადამიანის უფლებები. სექსუალური უფლებები შედგება იმ უფლებებისაგან, რომლებიც დაკავშირებულია სექსუალობასთან და რომლებიც გამომდინარეობს ყველა ადამიანის თავისუფლების,თანასწორობის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, დამოუკიდებლობის, და ღირსების უფლებებიდან.

მრავალი საერთაშორისო დოკუმენტი, ნორმა თუ სტანდარტი, აღიარებს იმ მნიშვნელოვან პრინციპებს, რომლებიც სექსუალობასთან არის დაკავშირებული.

სექსუალური უფლებები იცავს კონკრეტულ სპეფიციკურ საკითხებს, მაგრამ ცდება საზღვრებს და იცავს თითოეული ადამიანის უფლებას, რათა შეძლონ სექსუალური უფლებების დაცვა, მოახდინონ ამ უფლებების რეალიზება და სარგებლობა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

სექსუალური უფლებები ადამიანის უფლებების საბაზო და დამკვიდრებულ პრინციპებს ავრცელებს ადამიანის სექსუალობაზე. მათი გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალურად დაუცველი, მარგინალიზებული და მზრუნველობა მოკლებული ჯგუფებისათვის.

იმის გათვალისწინებით, რომ IPPF ადასტურებს ადამიანის უფლებების უნივერსალურობას, ურთიერთკავშირს, ურთიერთ-

დამოკიდებულებასა და განუყოფლობას, ის თანმიმდევრულობა, რომლითაც შემდეგი სექსუალური უფლებები გაერთიანებულია წინამდებარე დეკლარაციაში, არ გულისხმობს რაიმე კონკრეტულ იერარქიას. შემდეგი(ქვემოთ ჩამონათვალი) მუხლების განხორციელება აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს მათ წინამორბედ ზოგად პრინციპებს.

## მუხლი 1.

### თანასწორობის უფლება, კანონის წინაშე თანასწორობა და უფლება იყო თავისუფალი დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმისაგან სქესი, გენდერული იდენტობისა თუ სექსუალობის ნიადაგზე

- ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი და მათი უფლებები თანაბრად უნდა იყოს დაცული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

- ყველა ადამიანისათვის გარანტირებული უნდა იქნას ისეთი გარემო, რომელშიც ყველას თანასწორად შეუძლია სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლებებით სარგებლობა და მათი გამოყენება. სახელმწიფოებმა და სამოქალაქო საზოგადოებებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა ხელი შეუწყონ სოციალური და კულტურული პრაქტიკის მოდიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ქალებისა და მამაკაცების სტერეოტიპულ როლს ან სქესის თუ გენდერული იდენტობის სრულფასოვნება-არასრულფასოვნების მოსაზრებებს.

- ყველა ადამიანს აქვს უფლება, იმუშაოს, მიიღოს განათლება, ჯანდაცვის მომსახურეობები, სოციალური დაცვა და სხვა ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული სარგებელი ასევე, ის საშუალებები, მომსახურეობები და პირობები, რომლებიც აუცილებელია მათი რეალიზებისათვის, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

- ყველა ადამიანს უნდა მიეცეს სამართლებრივი მექანიზმებით სარგებლობის შესაძლებლობა იმისათვის რომ თანაბრად ისარგებლოს სასამართლო პროცედურებით, თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი სასამართლოს ნებისმიერ ინსტაციაში.

- ყველა ადამიანს, კანონის დაცვით, თანაბრად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უნდა ჰქონდეთ გადაადგილების და საცხოვრებლის არჩევის უფლება.

## მუხლი 2.

### მონაწილეობის უფლება, სქესის, სექსუალობის თუ გენდერის მიუხედავად.

- ყველა ადამიანს აქვს უფლება, იცხოვროს ისეთ გარემოში, რომელშიც შესაძლებელია აქტიური, თავისუფალი და შინაარსიანი მონაწილეობა და საკუთარი წვლილის შეტანა სამოქალაქო, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ადგილობრივ, ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე. ეს მუხლი შესაძლებელს ხდის ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებას.

- ყველა ადამიანს აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს ისეთი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, რომელიც უკავშირდება მის კეთილდღეობას, სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობას, ფორმალური თუ არაფორმალური ბარიერების გარეშე, მაგალითად, ასეთი საკითხებია: ქორწინების კვალიფიკაციები, აივ მდგომარეობასთან დაკავშირებული პირობები ან დისკრიმინაციული გენდერული ნორმები, სტერეოტიპები და ცრურწმენები, რომლებიც გამორიცხავენ ან ზღუდავენ ადამიანების მონაწილეობას გენდერული და სქესობრივი თავისებურებების მოსაზრების გამო. ახალგაზრდობას, რომელსაც ხშირად გამორიცხავენ, უნდა ჰქონდეთ მონაწილეობის უფლება ცვლილებების განხორციელების პროცესში. მათ უნდა ჰქონდეთ იმის საშუალება, რომ გარკვეული წვლილი შეიტანონ და პასუხისმგებლობა გაიზიარონ იმ პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებაში, რომლებიც ეხება სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვას, ხელშეწყობასა და რეალიზებას. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ და პოლიტი კურ ცხოვრებაში, მათ შორის, დაიკავოს სახელმწიფო

თანამდებობა და შეასრულოს საჯარო ფუნქციები, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.მონაწილეობის აუცილებელი პირობაა, რომ ყველა ადამიანს ჰქონდეს გადაადგილებისა და სამშობლოდან წასვლის თუ სამშობლოში დაბრუნების უფლება, ასევე, იმ დოკუმენტების თანასწორი ხელმისაწვდომობა, რომლებიც აუცილებელია ამგვარი გადაადგილებისა და მგზავრობისთვის, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

## მუხლი 3.

### სიცოცხლის, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და ხელშეუხებლობის უფლებები.

- ყველა ადამიანს აქვს თავისუფლების და სიცოცხლის უფლება. უფლება, არ დაექვემდებაროს წამებას, არაჰუმანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას, განსაკუთრებით, დისკრიმინაციის საფუძველზე. ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება, საკუთარი სექსუალობა განკარგოს ძალადობისა თუ იძულების გარეშე.

- ყველა ადამიანს აქვს სიცოცხლისა და სხეულის ინტეგრირებულობის უფლება. ამ უფლებას საფრთხეს ან რისკს არ უნდა უქმნიდეს ოჯახის „ღირსებისათვის მიყენებული შეურაცხყოფის შურისძიება”.

- ადამიანი არ უნდა დაექვემდებაროს სასამართლო თუ არასასამართლო მკვლელობას, დასჯას სხეულზე ზიანის მიყენების სახით, მისი სქესობრივი გამოცდილების ან ქცევის, გენდერული თავისებურების ან თვითგამოხატვის გამო.

- ქალის სიცოცხლე და ჯანმრთელობა არ უნდა იქნას დაყენებული რისკის ქვეშ სამედიცინო დახმარების გაუწევლობის გამო, მისი ფიზიკური თუ გონებრივი მდგომარეობის მიზეზით ან სხვა მიზეზებით, მაგალითად როგორიცაა ანმიზეზი,სადაც ორსულობის შემთხვევაში,პრიორიტეტი ენიჭება ნაყოფს.

- ქალს არ უნდა მიესაჯოს იძულებითი დედობა მისი სექსუალობის გამოყენების შედეგად. ყველა ადამიანს აქვს უფლება,

თავისუფალი იყოს ზიანის მომტანი ტრადიციული წესებისაგან, მათ შორის იგულისხმება ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება და იძულებითი ან ნაადრევი ქორწინება.

- ყველა ადამიანს აქვს უფლება, გათავისუფლდეს ძალადობისგან, მათ შორის, ფიზიკური, სიტყვიერი, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური შეურაცხყოფის ყოველგვარი ფორმისაგან, სექსუალური შევიწროებისაგან, გაუპატიურებისა და იძულებითი სქესობრივი კონტაქტის სხვა ფორმებისგან ქორწინების ფარგლებში თუ მის ფარგლებს გარეთ, შეიარაღებულ კონფლიქტში თუ პატიმრობაში.

- ყველა ადამიანს, მათ შორის ყველა სქესის სექს-მუშაკებს, აქვთ უფლება, სექსუალური აქტივობის შემთხვევაში, არ დაექვემდებაროს ძალადობის რისკს, რომელიც ეფუძნება სტიგმასა და დისკრიმინაციას მისი სქესის, სექსუალობის თუ გენდერის გამო.

- არავინ უნდა დაექვემდებაროს თვითნებურ დაკავებას, ან თვითნებური თუ დისკრიმინაციული სანქციების დაკისრებას სისხლის სამართლის იმ არაზუსტი და ბუნდოვანი დებულებების დარღვევისათვის, რომლებიც ეხება შეთანხმებულ სქესობრივ კონტაქტს.

- ადამიანის სექსუალური არჩევანი, პრაქტიკა თუ გამოხატვა, მათ შორის, სექს-სამუშაოს რეალური თუ სავარაუდო პრაქტიკა, არ უნდა იქცეს ძალადობის, შეურაცხყოფის და შევიწროების გამართლების, პატიების ან დასჯის შერბილების ფაქტორად.

- ყველა მიგრანტისა და მიგრანტი მუშაკისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ქალებისა და ტრანსგენდერებისათვის, იმ ქვეყანაში, რომელშიც ისინი ცხოვრობენ და მუშაობენ, ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათი სექსუალური თუ გენდერული იდენტობის გამო სხეულის დაზიანების, ძალადობისა და შეურაცხყოფისაგან დაცვის საშუალებები. ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სქესობრივი ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვისა და რეალიზების შესაძლებლობების მიცემა.

- ყველა ადამიანს აქვს უფლება, ითხოვოს და ისარგებლოს თავშესაფრით დევნის დროს, მათ შორის, ისეთი დევნის დროს, რომელიც გამოწვეულია სახელმწიფოს ქმედებებით ან არასაკმარისი ზომების მიღებით, როცა ეს შეურაცხყოფა მიყენებულია მისი სქესის, გენდერის, გენდერული იდენტობის, სქესობრივი გამოცდილების თუ ქცევის, სექსუალური ორიენტაციის, ან აივ სტატუსის საფუძველზე.

- ყველა ადამიანს აქვს უფლება, არ დაექვემდებაროს გაყვანას, ექსტრადიციას თუ გადასახლებას ან ამის საფრთხის შქექმნას ისეთ სახელმწიფოში, რომელშიც იგი შეიძლება გახდეს დევნის ადრესატი მისი სქესის, გენდერული იდენტობის, სექსუალური გამოცდილების, ქცევის, სექსუალური ორიენტაციის ან აივ სტატუსის საფუძველზე.

## მუხლი 4.

### კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

ყველა ადამიანს აქვს უფლება, არ დაექვემდებაროს თვითნებურ ჩარევას მის პირად ცხოვრებაში, ოჯახში, სახლში, დოკუმენტებსა თუ კორესპონდენციაში რომელიც აუცილებელია სქესობრივი დამოუკიდებლობის განცდისათვის.

ყველა ადამიანს აქვს სექსუალური დამოუკიდებლობის უფლება. მას უნდა შეეძლოს გადაწყვეტილებების მიღება მისი სექსუალობის, სექსუალური ქცევისა და ინტიმურობის შესახებ, ყოველგვარი თვითნებური ჩარევის გარეშე.

ყველა ადამიანს აქვს კონფიდენციალობის უფლება სქესობრივი ჯანდაცვის მომსახურეობებთან დაკავშირებით, მისი სამედიცინო ისტორიასთან დაკავშირებით, მათ შორის იმ ინფორმაციის დაცვის უფლება, რომელიც მის აივ-სტატუსს ეხება. მას აქვს უფლება, დაცული იქნას თვითნებური გამჟღავნებისაგან (მხილებისგან), ნებადართული შეზღუდვების ფარგლებში და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

ყველა ადამიანს აქვს უფლება, გააკონტროლოს იმ ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც ეხება მის სქესობრივ არჩევნებს,

წარსულს, სექსუალურ პარტნიორებს, ქცევას და სექსუალობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

## მუხლი 5.

### პერსონალური დამოუკიდებლობისა და კანონის წინაშე აღიარების უფლება.

- ყველა ადამიანს აქვს კანონის წინაშე აღიარებისა და სექსუალური თავისუფლების უფლება, რომელიც მოიცავს ადამიანის შესაძლებლობას, თავად გააკონტროლოს და გადაწყვიტოს სექსუალობასთან დაკავშირებული საკითხები, აირჩიოს სექსუალური პარტნიორი, სრულად გამოავლინოს საკუთარი სექსუალური პოტენციალი და მიიღოს სიამოვნება. ამ უფლებით სარგებლობა ხდება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და სხვათა უფლებებისა და ბავშვების შესაძლებლობების განვითარების სათანადო პატივისცემით.

- ყველა ადამიანს აქვს კანონის წინაშე აღიარების უფლება, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს,ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

- ყველა ადამიანს აქვს დამოუკიდებელი და ურთიერთობითი სექსუალური პრაქტიკისა და ქცევის უფლება ისეთ სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში, სადაც შესაძლებელია ყველა უფლებისა და თავისუფლების რეალიზება ყოველგვარი დისკრიმინაციის, ძლადობისა და იძულების გარეშე.

- ადამიანი არ უნდა მიეცეს პასუხისგებაში, შეთანხმებული სექსუალური ურთიერთობების თუ პრაქტიკის გამო, კანონით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა. ადამიანი არ უნდა დაექვემდებაროს დაპატიმრებას ან დაკავებას სქესის, სექსუალობის, ან შეთანხმებული სექსუალური პრაქტიკისა თუ ქცევის საფუძველზე.

- ყველა თავისუფლებააღკვეთილ ადამიანს აქვს უფლება, არ დაექვემდებაროს შეურაცხყოფას და დისკრიმიინაციული მოტივით განხორციელებულ ძალადობას ყველა

თავისუფლებააღკვეთილ ადამიანს აქვს უფლება, იყოს დაცული მარგინალიზაციისაგან და ჰქონდეს რეგულარული ოჯახური ვიზიტები.

- ყველა ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს ტრეფიკინგისგან.

- ადამიანი არ უნდა დაექვემდებაროს იძულებით სამედიცინო გამოკვლევას და პროცედურებს, სამედიცინო ტესტირებას ან იძულებით მოთავსებას სამედიცინო დაწესებულებაში სექსუალური ორიენტაციის, სქესობრივი წარსულის თუ ქცევის ასევე გენდერული იდენტობის საფუძველზე.

- ადამიანი არ უნდა აიძულონ გაიაროს სამედიცინო პროცედურები, მათ შორის სქესის შეცვლის ოპერაცია, სტერილიზაცია ან ჰორმონალური თერაპია, როგორც მოთხოვნა მისი გენდერული იდენტობის კანონით აღიარებისათვის. ადამიანი არ უნდა დაექვემდებაროს ზეწოლას მისი სქესის, ასაკის, გენდერული იდენტობის თუ სექსუალური ორიენტაციის დაფარვის დათრგუნვის ან ხელყოფის მიზნით.

- ადამიანს აქვს უფლება, მიიღოს დოკუმენტები მითითებული გენდერით ან სქესით, რომლებიც ასახავენ ამ ადამიანის მიერ განსაზღვრულ გენდერულ იდენტობას. მათ შორის იგულისხმება, დაბადების მოწმობა, პასპორტი და საარჩევნო დოკუმენტები.

## მუხლი 6.

### ფიქრის, აზრისა და გამოხატვის უფლება; გაერთიანების უფლება.

- ყველა ადამიანს აქვს ფიქრის, აზრისა და გამოხატვის უფლება სექსუალობასთან, სექსუალურ ორიენტაციასთან თუ გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებით, თვითნებური ჩარევისა თუ შეზღუდვის გარეშე. შეზღუდვებს ხშირ შემთხვევაში საფუძვლად უდევს დომინანტური კულტურული რწმენა, პოლიტიკური იდეოლოგია, საზოგადოებრივი წესრიგის, მორალის, ჯანდაცვისა თუ უსაფრთხოების დისკრიმინაციული ფაქტორი.

- ყველა ადამიანს აქვს ფიქრის, სინდისისა და რელიგიის

თავისუფლად გამოხატვის ნება, მათ შორის უფლება, ჰქონდეს საკუთარი შეხედულებები ყოველგვარი ჩარევისა დისკრიმინაციის გარეშე, ბავშვების შესაძლებლობების განვითარების გათვალისწინებით.

- ყველა ადამიანს აქვს უფლება, გამოსცადოს საკუთარი სექსუალობა, ჰქონდეს ოცნებები თუ ფანტაზიები, გამოხატოს თავისი სურვილები შიშის, სირცხვილის, დანაშაულის, ყალბი რწმენებისა და სხვა ბარიერების გარეშე, სხვათა უფლებების მიმართ სრული პატივისცემით.

- ყველა ადამიანს, აქვს უფლება, ინდივიდუალობა გამოხატოს საუბრის, ქცევის, ჩაცმულობის, სხეულის მახასიათებლების, სახელის არჩევისა და სხვა საშუალებების მეშვეობით, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე.

- ყველა ადამიანს აქვს უფლება, მოიძიოს, მიიღოს და სხვას გადასცეს ინფორმაცია და მოსაზრებები ადამიანის უფლებების, სექსუალური უფლებების, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის და სექსუალობის შესახებ ნებისმიერი კანონიერი წყაროდან და საზღვრების მოუხედავად. პროცესი უნდა წარიმართოს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე,სხვათა უფლებებისა ბავშვების შესაძლებლობების განვითარების გათვალისწინებით.

- ყველა ადამიანს აქვს მშვიდობიანი შეკრების, ჯგუფებში, ორგანიზაციებსა და სხვაგასხვაგვარ ფორმირებებში გაერთიანების ან მათი შექმნის უფლება. ყველა ადამიანს აქვს უფლება ადამიანის უფლებებთან, სექსუალურ უფლებებთან, სექსუალობასთან, სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობის დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციისა და მოსაზრებების გაცვლა, გაზიარება და გადაცემა ნებისმიერი საშუალებით. ამისათვის აუცილებელია ისეთი სოციალური ჩარჩოს შექმნა, რომელშიც შესაძლებელია ყველა ადამიანის უფლებისა და თავისუფლების რეალიზება.

## მუხლი 7.

### ჯანდაცვისა და მეცნიერული პროგრესის მიღწევების ხელმისაწვდომობის უფლება.

- ყველა ადამიანს აქვს უფლება, ისარგებლოს ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი სტანდარტით, რომელიც მოიცავს ჯანმრთელობისა და სქესობრივი ჯანმრთელობის დაცვის დეტერმინანტებს ყოველგვარი სქესობრივი პრობლემის პრევენციას, დიაგნოსტიკას და მკურნალობას.

- ყველა ადამიანს აქვს უფლება, დაჟინებით მოითხოვოს უსაფრთხო სქესობრივი ურთიერთობა არასასურველი ორსულობისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების, მათ შორის აივისა და შიდსის პრევენციის მიზნით.

- ყველა ადამიანს აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს კანონების, პოლიტიკის, პროგრამებისა და პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესში, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ ჯანდაცვას და საზოგადო კეთილდღეობას.

- ჯანდაცვის ყოველგვარი ინტერვენცია უნდა ითვალისწინებდეს მარგინალიზებული პირებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების საჭიროებებს.

- ჯანდაცვის მომსახურეობები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ადამიანისათვის ამ მომსახურეობების პროვაიდერების შეგნებული პროტესტის მიუხედავად.

- ყველა ადამიანს აქვს იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება, რომელიც ეხება სექსუალურ უფლებებს, სექსუალურ ორიენტაციას, სექსუალობასა და გენდერულ იდენტობას, ჯანმრთელობის დაცვის კონტექსტით. ასევე , ყველა ადამიანს აქვს უფლება ხელი მიუწვდებოდეს ჯანდაცვის შეძლებისდაგვარად საუკეთესო მომსახურეობებზე რომლებიც ეფუძნება დამტკიცებულ და მეცნიერულად დასაბუთებულ კვლევებს.

- ყველა ადამიანს, მათ შორის სექს-მუშაკებს, აქვთუსაფრთხო პირობებში მუშაობის, ჯანდაცვის მომსახურეობით სარგებლობისა და დაცვის უფლება, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ დაცული იყოს ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი სქესობრივი კავშირისგან.

- ყველა ადამიანს, შეიარაღებულ კონფლიქტში თუ იძულებით გადაადგილებისას, უნდა ჰქონდეს სრულყოფილი მომსახურეობებისა და დაცვის უფლება სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში. ყველა ადამიანს აქვს უფლება, ისარგებლოს მეცნიერული პროგრესით სექსუალურ უფლებებსა და სქესობრივი ჯანდაცვის სფეროში. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის ტექნოლოგიების, მომსახურეობების თუ სამედიცინო ინტერვენციების გამოყენების ან უარყოფის უფლება და საშუალებები თანაბრად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ასაკობრივი შეზღუდვები ამ უფლებებზე უნდა აკმაყოფილებდეს ანტიდისკრიმინაციულ მოთხოვნებს და ბავშვების შესაძლებლობების განვითარების პრინციპს.

## მუხლი 8.

### განათლებისა და ინფორმირებულობის უფლება.

- ყველა ადამიანს, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, აქვს სრულყოფილი სქესობრივი განათლებისა და ინფორმაციის მიღების უფლება, რომელიც აუცილებელი და სასარგებლოა სრულყოფილი მოქალაქეობისა და თანასწორობის უფლებებით სარგებლობისათვის პირად, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სივრცეში.

- ყველა ადამიანს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს აქვთ უფლება, მიიღონ განათლება, რომელიც მიზნად ისახავს სტიგმისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრას . ეს ხელს შეუწყობს მათ ჩამოყალიბებას და განვითარებას ინფორმირებულ პიროვნებებად, რომლებიც პასუხისმგებლები იქნებიან საკუთარ სიცოცხლეზე. მსგავსი განათლება მათ მისცემს უფლებას მონაწილეობა მიიღონ სქესობრივ

ჯანდაცვასა და სექსუალობის შესახებ ინფორმირებულობასთან დაკავშირებული პოლიტიკის განსაზღვრაში. ყველა ადამიანს და, განსაკუთრებით, ახალგაზრდობს, აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ სექსუალობის სრულყოფილი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სექსუალობასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

- ყველა ადამიანს აქვს უფლება, ჰქონდეს საშუალება, გამოიმუშაოს უფრო ძლიერი და თანასწორი ურთიერთობების მიღწევის უნარ-ჩვევები.

- ყველა ადამიანს, ქვეყნის საზღვრების მიუხედავად, ნებისმიერი წყაროს მეშვეობით, უნდა ჰქონდეს ყველა იმ ტრადიციული და არატრადიციული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება, რომელიც უკავშირდება სექსუალობას, სექსუალურ უფლებებს და სქესობრივ ჯანმრთელობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდების უფლებებს, და სქესობრივი ურთიერთობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

- ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს ხელმისაწვდომობა საზოგადოების, სკოლის, ჯანდაცვის მომსახურეობების პროვაიდერების მიერ მოწოდებული სექსუალობას დაკავშირებული ინფორმაციაზე, მისთვის გასაგებ ენაზე. აქ იგულისხმება ის ინფორმაციაც, რომელიც ეხება სქესობრივი და რეპროდუქციული ჯან მრთელობის დაცვას და გადაწყვეტილებების მიღებას, თუ როდის, როგორ და ვისთან დაამყაროს მან სქესობრივი ურთიერთობა. ასევე მნიშვნელოვანია, ახალგაზრდამ იცოდეს: როდის ხდება სქესობრივი ქცევა რეპროდუქციული.

- ყველა ადამიანს აქვს უფლება, მიიღოს საკმარისი განათლება და ინფორმაცია, რათა ნებისმიერი გადაწყვეტილება მისი სქესობრივი და რეპროდუქციული ცხოვრების შესახებ მიღებული იქნას დამოუკიდებლად, თავისუფალი ნებით და სრული ინფორმირებულობის საფუძველზე.

## მუხლი 9.

### ქორწინების, ოჯახის შექმნის, დაგეგმვისა და შვილების ყოლის უფლება. შვილების ყოლის გზებისა და დროის არჩევნის უფლება.

- ყველა ადამიანს აქვს უფლება, აირჩიოს: დაქორწინდეს თუ არა, შექმნას და დეგეგმოს თუ არა ოჯახი, როდის იყოლიოს შვილები, თავისუფლად და პასუხისმგებლობის გრძნობით გადაწყვიტოს შვილების რაოდენობა ისეთ გარემოში, რომელშიც კანონი და პოლიტიკა აღიარებს ოჯახის ფორმების სხვადასხვაგვარობას, მათ შორის ისეთ ფორმებს, რომლებიც არ არის განსაზღვრული მემკვიდრეობით თუ ქორწინებით.

- ყველა ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად და სრული თანხმობით დაქორწინდეს ან სხვაგვარი ურთიერთობა დაამყაროს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და ბავშვების შესაძლებლობების განვითარების გათვალისწინებით.

- ყველა ადამიანს აქვს ოჯახთან დაკავშირებული სოციალური კეთილდღეობითა, და სხვა საზოგადოებრივი უპირატესობებით სარგებლობის უფლება რომლებიც დაკავშირებულია დასაქმებასა და ემიგრაციასთან ოჯახის ფორმისაგან დამოუკიდებლად, მათ შორის იგულისხმება ოჯახის ისეთი მოდელები, რომლებიც არ არის განსაზღვრული მემკვიდრეობით თუ ქორწინებით. ყველა ადამიანს აქვს ინფორმაციისა და განათლების მიღების უფლება. მისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საშუალებები, რომლებიც აუცილებელია შვილების ყოლა-არყოლის, მათი რაოდენობის, გაჩენის ხელსაყრელი დროის და ბავშვებს შორის ინტერვალების დაგეგვმისათვის. ყოველი ასეთი გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას თავისუფლად და პასუხისმგებლობის გრძნობით.

- ყველა ადამიანს აქვს უფლება, გააკეთოს თავისუფალი არჩევანი რეპროდუქციასა და ოჯახის შექმნასთან დაკავშირებით; მას აქვს უფლება, მიიღოს გადაწყვეტილება ბიოლოგიური თუ არაბიულოგიური შვილების ყოლა-არყოლის შესახებ, გამოიყენოს ნაყოფიერების რეგულირების ყველა უსაფრთხო, ეფექტური, მისაღები და ხელმისაწვდომი

მეთოდები, ისარგებლოს რეპროდუქციული ტექნოლოგიებითა და სამკურნალო საშუალებებით.

- ყველა ადამიანს აქვს საკონსულტაციო და სხვა მომსახურეობების ხელმისაწვდომობის უფლება, რომლებიც დაკავშირებულია რეპროდუქციასთან, უშვილობასა და ორსულობის შეწყვეტასთან ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და ბავშვების შესაძლებლობების განვითარების გათვალისწინებით.

- ყველა ქალს აქვს უფლება, მიიღოს ინფორმაცია, განათლება და მომსახურეობა, რომელიც აუცილებელია რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვისთვის, უსაფრთხო დედობისა და უსაფრთხო აბორტისათვის, რომელიც თავის მხრივ უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა ქალისთვის. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს თანასწორი უფლებები და პასუხისმგებლობები იმ საკითხებში, რომლებიც ეხება მეურვეობას, მზრუნველობას და ბავშვების შვილად აყვანას, ასევე დაწესებულებებს, რომლებშიც, ეს კონცეფციები ეროვნულ კანონმდებლობაშია ჩადებული; ყველა შემთხვევაში, ბავშვთა ინტერესებს უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება.

## მუხლი 10.

### ანგარიშვალდებულებისა და კომპენსაციის უფლება

- ყველა ადამიანს აქვს უფლება ეფექტურ, ადექვატურ, ხელმისაწვდომ და შესაბამის აღმზრდელობით, საკანონმდებლო, სამართლებრივ და სხვა ზომებზე იმისათვის, რომ მოითხოვოს იმ ადამიანებისაგან, რომლებიც ვალდებულნი არიან, დაიცვან სექსუალური უფლებები, სრულად ანგარიშვალდებულნი იყვნენ მის წინაშე. ეს მოიცავს სექსუალური უფლებების განხორციელებისა და მათი დარღვევის შემთხვევაში სამართლებრივი დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობის მონიტორინგის შესაძლებლობას, მათ შორის, სრული კომპენსაციის ხელმისაწვდომობას რესტიტუციის, კომპენსაციის, რეაბილიტაციის, დაკმაყოფილების, განუმეორებლობის გარანტიის თუ სხვა საშუალებებით.

- სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ანგარიშვალდებულების მექანიზმები იმისათვის, რომ დაცული იქნას მათი, სექსუალური უფლებების გარანტირებასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

- ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს ანგარიშვალდებულებისა და სამართლებრივი დაცვის საშუალებების ეფექტური მექანიზმების ხელმისაწვდომობის უფლება შეიარაღებული კონფლიქტის დროს, განსაკუთრებით სქესობრივი და გენდერული ძალადობის შემთხვევაში.

- ყველა ადამიანს აქვს უფლება ხელი მიუწვდებოდეს იმ ინფორმაციისა და დახმარებაზე რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ ისარგებლოს სამართლებრივი დაცვის საშუალებებით და უზრუნველყოფილი იყოს კომპენსაციით მათი სექსუალური უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

- ყველა ადამიანს აქვს უფლება, პასუხი მოსთხოვოს იმ არასამთავრობო აქტორებს, რომელთა ქმედებები და შეცდომები უარყოფით ზეგავლენას ახდენს მის მიერ მისი საკუთარი სექსუალური უფლებებით სარგებლობაზე. ეს მოიცავს სამართლებრივი დაცვის საშუალებებისა და კომპენსაციის მოთხოვნის შესაძლებლობას სექსუალური უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ მესამე მხარემ არ დაარღვიოს სხვათა სექსუალური უფლებები. IPPF ვალდებულებას იღებს, ყველაფერი გააკეთოს, მისი შესაძლებლობების ფარგლებში, მათ შორის ტექნიკური და ფინანსური დახმარების გაწევის თვალსაზრისით, იმისათვის, რომ მისმა ყველა წევრმა ასოციაციამ აწარმოოს სექსუალური უფლებების განმარტებითი ადვოკატირება, უზრუნველყოს სქესობრივი ჯანმრთელობის დაცვის ბენეფიციარზე ორიენტირებული, მომსახურეობების გაწევა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. გარდა ამისა, მოახდინოს ინფორმირება და აწარმოოს სექსუალობასთან დაკავშირებული სრულყოფილი საგანმანათლებლო საქმიანობა, და მოახდინონ აღნიშნული დეკლარაციის პრინციპებისა და უფლებებების ინტეგრირება პროგრამებსა თუ სხვა სახის დოკუმენტში.

# რეფერენციები და შენიშვნები

ქვემოდ მოყვანილ შენიშვნებში მითითებულია იმ პრინციპებისა და უფლებების წყაროები, რომლებიც IPPF-ის მიერ ჩამოყალიბებული იქნა დოკუმენტში: სექსუალური უფლებები: IPPF დეკლარაცია.

ეს წყაროები მოიცავს ადამიანის უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო დოკუმენტებს და საერთაშორისო სტანდარტების ავტორიტეტულ ინტერპრეტაციებს.

ჩვენ, ასევე, ჩავრთეთ რეფერენციები, რომლებიც ადასტურებენ იმ დამატებით უფლებებს, რომლებსაც, IPPF-ის აზრით, მოიცავს უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო სტანდარტები.

ეს წყაროები მოიცავს ეროვნული მთავრობების მიერ მიღებულ კანონებსა და პოლიტიკებს, ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სწავლულებისა და დამცველების
გამონათქვამებს და IPPF წევრი-ასოციაციების მიერ განხორციელებულ პროცესებს.

- სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების IPPF წესდების (1995) სრული ტექსტი იხილეთ შემდეგ ვებ-საიტზე: www.ippf.org/en/Resources/Statements/IPPF+Charter+on+Sexual+and+Reproductive+Rights.html

- საერთაშორისო სტანდარტებისა და გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის ორგანიზაციების მოხსენებების სრული ტექსტი იხილეთ ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის გაეროს ოფისის ვებ-საიტზე: www.ohchr.org

- სექსუალური უფლებებისა და სქესობრივი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული დისკუსიები იხილეთ შემდეგ ვებ-საიტზე:
www.who.int/reproductive-health/gender/sexualhealth.html#4

- ჯაკარტას პრინციპების (Yogyakarta Principles) სრული ტექსტი: ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო კანონის გამოყენების პრინციპები სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული ინდივიდუალობის მიმართ (Yogyakarta Principles) (2007) იხილეთ შემდეგ ვებსაიტზე:
www.yogyakartaprinciples.org

# შენიშვნები და განმარტებები

საერთაშორისო კანონი ადამიანის უფლებების შესახებ:
ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია (UDHR).
საერთაშორისო ხელშეკრულება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR) და თანმდევი პროტოკოლები
საერთაშორისო ხელშეკრულება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (ICESCR).

**ადამიანის უფლებების უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო დოკუმენტები და მათი მაკონტროლებელი ორგანოები:**

საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის შესახებ (ICERD) – მაკონტროლებელი ორგანო: CERD.

კონვენცია ქალების წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) - მაკონტროლებელი ორგანო: CEDAW და მისი ოფციონალური პროტოკოლი.

კონვენცია წამებისა და ულმობელი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ყველანაირი ფორმის წინააღმდეგ (CAT) - მაკონტროლებელი ორგანო: CAT და მისი ოფციონალური პროტოკოლი.

კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (CRC) - მაკონტროლებელი ორგანო: ჩღჩ და მისი ორი ოფციონალური პროტოკოლი.

საერთაშორისო კონვენცია მიგრანტი მუშაკებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ (CMW) - მაკონტროლებელი ორგანო: CMW.

კონვენცია შრომისუუნარო პირების უფლებების შესახებ (ძალაში შესვლის თარიღი: 2008 წლის 3 მაისი).

საერთაშორისო კონვენცია ყველა ადამიანის იძულებითი გაუჩინარებისაგან დაცვის შესახებ (ძალაში შესვლის თარიღი: 2008 წლის მაისი).

ადამიანის უფლებების უმთავრესი ხელშეკრულებების გარდა, არსებობს ადამიანის უფლებების საერთაშორისო დოკუმენტებიც, რომლებიც, თუმცა სამართლებრივად სავალდებულო არ არის, წარმოადგენენ უდავო მორალურ ძალას და უზრუნველყოფენ პრაქტიკულ ხელმძღვანელობას სახელმწიფოებისათვის მათი ქცევის სფეროში. ეს დოკუმენტებია:

- ვენის დეკლარაცია და სამოქმედო პროგრამა.
- გაერთიანებული ერების ათასწლეულის დეკლარაცია.
- გაერთიანებული ერების დეკლარაცია ქალების წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ.
- გაერთიანებული ერების დეკლარაცია განვითარების უფლების შესახებ.
- კონვენცია ქორწინების, ქორწინების მინიმალური ასაკისა და ქორწინებების რეგისტრაციის შეთანხმების შესახებ.
- აივ/შიდს-თან დაკავშირებული ვალდებულების დეკლარაცია.

CESCR კომიტეტმა განაცხადა, რომ ჯანდაცვის უფლება მოიცავს თავისუფლებას, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს გადაწყვეტილების მიღების უფლებას ადამიანის ჯანმრთელობისა და სხეულის შესახებ, მათ შორის, სექსუალურ და რეპროდუქციულ თავისუფლებას.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი:
ზოგადი კომენტარი: ჯანმრთელობის შეძლებისდაგვარად უმაღლესი სტანდარტის მიღწევის უფლება. გაეროს დოკუმენტი E/C.12/2000/4 11 აგვისტო, 2000 წ. სპეციალური მომხსენებლის მოხსენება ჯანდაცვის უფლების შესახებ, რომელიც წარმოდგენილი იქნა გაეროს ადამიანის უფლებების კომისიის მე-60 სხდომაზე.

გაეროს დოკუმენტი E/CN.4/2004/49 (2004) პუნქტი 9. სექსუალობა მდებარეობს სოციალურისა და ინდივიდუალურის გადაკვეთის წერტილში და გამომდინარეობს სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სტრუქტურებს შორის დინამიური ურთიერთქმედებიდან ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ეს დინამიკა ასახავს ყველა ადამიანის მიერ საკუთარი თავისა და სხვების შეგრძნებას სექსუალური უფლებების მქონე ადამიანებად. სპეციალური მომხსენებლის მოხსენება ჯანდაცვის უფლების შესახებ, E/CN.4/2004/49 (2004) პუნქტი 55.

ასეთი სიტუაციების აღიარების პროცესი იქნება ანალოგიური იმ პროცესისა, რომელიც გამოყენებულია წევრიასოციაციების მიერ სტრატეგიული სტრუქტურის რამდენიმე მიზნის განხორციელებისას. აქ იგულისხმება პროცესი ისეთი მიზნების განსახორციელებლად, რომლებიც შესაფერისია მათი ქვეყნის პირობებისთვის, კანონმდებლობის ჩათვლით. ამა თუ იმ ქვეყნის სიტუაციური ანალიზი ჩატარებული იქნება წევრი-ასოციაციის მიერ. ანალიზი დოკუმენტირებული იქნება. ხელშეკრულება გაფორმდება რეგიონალურ დირექტორს, რეგიონალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და წევრ-ასოციაციას შორის.

იხ.: Ilkkaracan, P. & Jolly, S. (2007) სქესი და სექსუალობა: მიმოხილვის მოხსენება (BRIDGE: განვითარების კვლევების ინსტიტუტი) შემდეგ ვებ-საიტზე: www.bridge.ids.ac.uk/reports_gend_CEP.html#Sexuality

**თანასწორობა** არის სამართლიანობა და სამართალი შეღავათებისა და პასუხისმგებლობების განაწილებაში. გენდერული თანასწორობის კონცეფცია აღიარებს, რომ ქალებსა და მამაკაცებს განსხვავებული საჭიროება და ძალაუფლება აქვთ. ამიტომ ეს განსხვავებები იდენტიფიცირებული და გადაჭრილი უნდა იქნას ისეთი გზით, რომელიც დაარეგულირებს დისბალანსს სქესებს შორის

**თანასწორობა** არის დისკრიმინაციის არარსებობა შესაძლებლობებში, რესურსებისა და შეღავათების განაწილებაში და მომსახურეობების ხელმისაწვდომობაში.

**გენდერული თანასწორობა** ეხება ქალებისა და მამაკაცების გაზომვად თანაბარ წარმომადგენლობას. გენდერული თანასწორობა იმას კი არ გულისხმობს, რომ ქალები და მამაკაცები ერთნაირები არიან, არამედ იმას, რომ მათ აქვთ თანაბარი ღირებულება და რომ მათ თანაბრად უნდა მოეპყრან. გენდერული თანასწორობა ეხება როგორც ქალების, ისე მამაკაცების შესაძლებლობას: თანაბრად მიიღონ ძალაუფლება და ზეგავლენა; იქონიონ თანაბარი შესაძლებლობები, უფლებები და ვალდებულებები საჯარო და კერძო სფეროებში, მათ შორის, მუშაობასა და შემოსავლების მიღებაში; იქონიონ ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა; იქონიონ საკუთარი პოტენციალის სრული განვითარების თანაბარი უფლება როგორც ოჯახში, ისე ზოგადად საზოგადოებაში არსებული რესურსებისა და მომსახურეობების თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლება. ასევე მნიშვნელოვანია იქონიონ თანაბრად მოპყრობის შესაძლებლობა კანონისა და პოლიტიკის ფარგლებში. გენდერული თანასწორობა იმას კი არ გულისხმობს, რომ ქალები და მამაკაცები ერთნაირები არიან, არამედ იმას, რომ მათი უფლებები, პასუხისმგებლობა და შესაძლებლობები არ არის დამოკიდებული მათ სქესზე.

**კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ**, მუხლი 5. მხარეებმა პატივი უნდა სცენ მშობლების, ან დიდი ოჯახების წევრების ან საზოგადოების - როგორც გათვალისწინებულია ადგილობრივი ადათ-წესებით – ანდერძით მეურვეების ან ბავშვზე სამართლებრივად პასუხისმგებელი სხვა პირების პასუხისმგებლობებს, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას, ბავშვის განვითარებადი შესაძლებლობების შესაბამისი გზებით, სათანადო მიმართულება და ხელმძღვანელობა ბავშვის მიერ წინამდებარე კონვენციაში აღიარებული უფლებებით სარგებლობისას. www.ohchr.org/english/law/crc.htm

**კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ**, განსაზღვრავს ცნებას: 18 წლამდე

ასაკის ადამიანები – უფლებების მფლობელები. ბავშვი, საერთაშორისო კანონის თანახმად, ნიშნავს თვრამეტ წლამდე ასაკის ყოველ ადამიანს.
კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, მუხლი 1: წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის, ბავშვი ნიშნავს თვრამეტ წლამდე ასაკის ყოველ ადამიანს, თუ, კანონი, რომელიც ამ ბავშვზე ვრცელდება, არ განსაზღვრავს სრულწლოვანების მიღწევას თვრამეტ წლამდე ასაკში.

**კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ**, მუხლი 3 (1). ბავშვებთან დაკავშირებულ ყველა ქმედებაში, რომელსაც ახორციელებენ სოციალური კეთილდღეობის საჯარო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი მნიშვნელობის სფეროს წარმოადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესები. (2) სახელმწიფო მხარეები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ ბავშვის ისეთი დაცვა და მოვლა, რომელიც აუცილებელია მისი კეთილდღეობისათვის, მისი მშობლების, მეურვეების ან მასზე კანონით პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებისა და მოვალეობების გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად, მათ უნდა მიიღონ ყოველგვარი სათანადო საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომები. (3) სახელმწიფო-მხარეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვების მოვლასა და დაცვაზე პასუხისმგებელი დაწესებულებები და სამსახურები აკმაყოფილებდნენ კომპეტენტური ორგანოების მიერ დადგენილ სტანდარტებს, განსაკუთრებით უსაფრთხოების, ჯანდაცვის, პერსონალის რაოდენობისა და კომპეტენტური ზედამხედველობის სფეროებში.

**კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ**, მუხლი 5: მხარეებმა პატივი უნდა სცენ მშობლების, დიდი ოჯახების წევრების, საზოგადოების(თუ ეს გათვალისწინებულია ადგილობრივი ადათ-წესებით), ანდერძით მეურვეების ან ბავშვზე სამართლებრივად პასუხისმგებელი სხვა პირების პასუხისმგებლობას, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას, სათანადო მიმართულება და ხელმძღვანელობა წინამდებარე კონვენციაში აღიარებული უფლებებით სარგებლობისას ბავშვის შესაძლებლობების განვითარებისათვის.

**კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ**, მუხლი 2.1: სახელმწიფო მხარეები პატივს უნდა სცემდნენ და იცავდნენ წინამდებარე კონვენციაში მოცემულ უფლებებს თითოეული ბავშვისათვის, მათი იურისდიქციის ფარგლებში, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, ბავშვის მშობლების ან მეურვეების რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონების, შრომისუუნარობის, დაბადების თუ სხვა მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად.
**კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ**, მუხლი 6.2: სახელმწიფო მხარეები

უნდა უზრუნველყოფდნენ, მაქსიმალური შესაძლებლობების ფარგლებში, ბავშვის გადარჩენასა და განვითარებას.

**არა-დისკრიმინაციის სტრუქტურა** ეხება ყველა მითითებას დისკრიმინაციის შესახებ, რომელიც წინამდებარე დოკუმენტშია მოცემული.

**სქესი** – ბიოლოგიური მახასიათებლები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანების მამრობითობასა და მდედრობითობას.

მიუხედავად იმისა, რომ ბიოლოგიური მახასიათებლები ურთიერთგამომრიცხავი არ არის, რადგან არსებობენ პირები, რომლებსაც ორივე მახასიათებელი აქვთ, ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მამრობითობისა და მდედრობითობის მიხედვით.

იხ.: წინამდებარე დეკლარაციის **პრინციპი 2**. დისკრიმინაცია ასაკის ნიადაგზე ანალოგიურად ვრცელდება ხანშიშესულ ადამიანებზეც.

**საერთაშორისო ხელშეკრულება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ**, მუხლი 2.2: წინამდებარე ხელშეკრულების სახელმწიფო-მხარეები იღებენ ვალდებულებას, უზრუნველყონ, რომ მასში ჩამოყალიბებული უფლებები გამოყენებული იქნება, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონების, დაბადების თუ სხვა მდგომარეობის ნიადაგზე ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

**გენდერი** ეხება სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ ატრიბუტებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც დაკავშირებულია მამრობითობასა თუ მდედრობითობასთან დროის გარკვეულ მონაკვეთში.

**გენდერული ინდივიდუალობა** – ამა თუ იმ პირის მდედრობითობის თუ მამრობითობის, მამრობითი თუ მდედრობითი
სქესის შიდა გრძნობა.

**სექსუალური ორიენტაცია** ნიშნავს უპირატეს სქესობრივ მიმზიდველობას იგივე, საპირისპირო ან ორივე სქესის მიმართ.

არა-დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საერთაშორისო კანონების ინტერპრეტაციების მაგალითები ყველა სფეროში როგორც გამიზნული, ისე "რეალური" დისკრიმინაციული ქმედებების თვალსაზრისით. ასევე დისკრიმინაციის მაგალითები რასასთან, სქესთან და გენდერთან დაკავშირე-

ბული ასპექტების კონტექსტში, **იხილეთ ადამიანის უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი №18**: არა-დისკრიმინაცია, გაეროს დოკუმენტი HRI/GEN/1/ Rev.6 at 146, 2003.

ასევე, იხილეთ რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია 25: რასობრივი დისკრიმინაციის გენდერული განზომილებები, გაეროს დოკუმენტი A/55/18, 2000.

CLADEM manifesti (მეორე ვერსია, სექსუალური უფლებებისა და რეპროდუქციული უფლებების კონვენციის კამპანია, 2006 წლის 25 ოქტომბერი), პუნქტი 26.

www.convencion.org.uy
ადრეული და გავლენიანი გადაწყვეტილება, რომელიც მიღებული იქნა სასამართლოს მიერ სქესობრივი ზიანისაგან დაცვის სპეციალური საშუალებების შესახებ, იხილეთ: ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო, X AND Y v. ნიდერლანდები, 1985 წლის 26 მარტი.

**კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ**, მუხლი 34: სახელმწიფო-მხარეები იღებენ ვალდებულებას, დაიცვან ბავშვი სქესობრივი ექსპლოატაციისა და შეურაცხყოფის ყოველგვარი ფორმისაგან. ამ მიზნებისათვის, სახელმწიფო-მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა სათანადო ეროვნული, ორმხრივი და სამმხრივი ზომები იმისათვის, რომ აღმოფხვრილი იქნას: (ა) ბავშვის ბიძგება ან იძულება, ჩაერთოს ამა თუ იმ უკანონო სქესობრივ აქტივობაში; (ბ) ბავშვების ექსპლოატატორული გამოყენება პროსტიტუციაში ან სხვა უკანონო სქესობრივ პრაქტიკაში; (გ) ბავშვების ექსპლოატატორული გამოყენება პორნოგრაფიულ წარმოდგენებსა და მასალებში.

**ადამიანის უფლებების მსოფლიო დეკლარაცია**, მუხლი 29: (1) ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობები იმ საზოგადოების წინაშე, რომელშიც შესაძლებელია მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება. (2) უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისას, ყოველი ადამიანი უნდა დაექვემდებაროს მხოლოდ კანონით დადგენილ შეზღუდვებს, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების სათანადო აღიარების, დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალურობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და პატივისცემის გათვალისწინებით.. (3) ეს უფლებები და თავისუფლება არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას გამოყენებული გაერთიანებული ერების მიზნებისა და პრინციპების საპირისპიროდ. იხ.: www.un.org/Overview/rights.html

**საერთაშორისო ხელშეკრულება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ**, მუხლი 12:1. წინამდებარე ხელშეკრულების სახელმწიფო-მხარეები აღიარებენ ყოველი ადამიანის უფლებას, ისარგებლოს ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობის დაცვის შეძლებისდაგვარად უმაღლესი სტანდარტით. 2. წინამდებარე ხელშეკრულების სახელმწიფო-მხარეების მიერ ამ უფლების სრულად რეალიზაციისათვის საჭირო ზომები უნდა მოიცავდეს ისეთ ქმედებებს, რომლებიც აუცილებელია: (1) მკვდრადშობილების შემთხვევებისა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისა და ბავშვის ჯანსაღი განვითარების უზრუნველყოფისათვის; (2) ეკოლოგიური და ინდუსტრიული ჰიგიენის ყველა ასპექტის გაუმჯობესებისთვის; (3) ეპიდემიური, ენდემიური, პროფესიული და სხვა დაავადებების პრევენციის, მკურნალობისა და კონტროლისთვის; (4) ისეთი პირობების შექმნისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ ყოველგვარი სამედიცინო მომსახურებისა და მოვლის ხელმისაწვდომობას ავადმყოფობის დროს.

იხილეთ, ასევე, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის კომიტეტის ზოგადი კომენტარი 14: ჯანდაცვის მაქსიმალურად შესაძლებელი სტანდარტის ხელმისაწვდომობის უფლება, გაეროს დოკუმენტი E/C.12/2000/4 11 აგვისტო 2000, პუნქტი: 28-29.

სამუშაოა ჩასატარებელი იმისათვის, რომ ცვლილებები იქნას შეტანილი კანონით დადგენილ ისეთ შეზღუდვებში, რომლებიც არ შეესაბამება ამ პრინციპში ასახულ ლეგიტიმურ მიზნებს.

იხილეთ: CLADEM მანიფესტი (მე-2 ვერსია, სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების კონვენციის მოძრაობა, 2006 წლის ოქტომბერი), პუნქტი: 33. www.convencion.org.uy

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა განვითარების თანამშრომლობის მიმართ: გაეროს სააგენტოებს შორის საერთო აზრის მიღწევისაკენ. იხილეთ:
www.undp.org/governance/docs/HR_Guides_CommonUnderstanding.pdf

**"პატივისცემის, დაცვისა და აღსრულების" კონცეფცია** მიღებული იქნა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის მიერ - ორგანო, რომელიც აკონტროლებს საერთაშორისო შეთანხმებას ეკონო მიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე, სახელმწიფო-მხარეების იმ სახელშეკრულებო ვალდებულებების ანალიზის სახით, რომლებიც დაკავშირებულია, სხვა უფლებებთან ერთად, ჯანდაცვის უფლებასთან. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი (CESCR) ზოგადი კო-

მენტარი № 14, პუნქტი 34-37.
იხილეთ: CESCR, ზოგადი კომენტარი № 14, პუნქტი 39.
**ადამიანის უფლებების მსოფლიო დეკლარაცია**, 1948, მუხლი 1: ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი ღირსებისა და უფლებების თვალსაზრისით.

საერთაშორისო ხელშეკრულება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 2(1): წინამდებარე ხელშეკრულების მონაწილე თითოეული სახელმწიფო-მხარე იღებს ვალდებულებას, პატივი სცეს და უზრუნველყოს მასში აღიარებული უფლებები მის ტერიტორიაზე არსებული და მის იურისდიქციას დაქვემდებარებული თითოეული ადამიანისათვის, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონების, დაბადების თუ სხვა მდგომარეობის გამო ყოველგვარი სახის დისკრიმინაციის გარეშე.

**მუხლი 3**: წინამდებარე ხელშეკრულების თითოეული სახელმწიფო-მხარე იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს მამაკაცებისა და ქალების თანაბარი უფლება, ისარგებლონ ხელშეკრულებაში მითითებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით.

**მუხლი 26**: ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და ყველას აქვს უფლება, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, თანასწორად იქნას დაცული კანონით. ამ თვალსაზრისით, კანონი უნდა კრძალავდეს ყოველგვარ დისკრიმინაციას და ყველა ადამიანისათვის უნდა უზრუნველყოფდეს თანასწორ და ეფექტურ დაცვას დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმისაგან, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონების, დაბადების ან სხვა მდგომარეობის ნიადაგზე. ადამიანის უფლებების კომიტეტმა, ეს დებულებები, მათი ინტერპრეტაციის შემდეგ, სქესობრივ დისკრიმინაციას მიუსადაგა. იხ.: HRC ზოგადი კომენტარი 18: არა-დისკრიმინაცია, გაეროს დოკუმენტი HRI/GEN/1/Rev.6 at 146, 2003

**კონვენცია ქალების წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის შესახებ**, 1979, მუხლი 1: წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის, ტერმინი "დისკრიმინაცია ქალების წინააღმდეგ" გამოიყენება, როგორც სქესის გამო გამორჩევის, გამოყოფის ან შეზღუდვის აღმნიშვნელი ტერმინი, რომლის მიზანია ქალებისათვის ადამიანის უფლებებითა და ფუნდამენტური თავისუფლებით სარგებლობის, მათი გამოყენებისა და აღიარების შეფერხება ან გაუქმება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო თუ სხვა სფეროში, მიუხედავად მათი ოჯახური მდგომარეობისა.

იხილეთ: რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია 25, გაეროს დოკუმენტი A/55/18, 2000. ასევე, იხილეთ: გაერთიანებული ერების ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის დამატებითი დოკუმენტი რასიზმის წინააღმდეგ მსოფლიო კონ-ფერენციისათვის (1999) E/CN.4/1999/WG.1/BP.7, რომელიც განიხილავს კა-ვშირს რასობრივ დისკრიმინაციასა და სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე დისკრიმინაციას შორის.

**ბავშვის უფლებების კონვენცია**, 1989, მუხლი 2 (1): სახელმწიფო-მხარეებმა, მათი იურისდიქციის ფარგლებში, უნდა უზრუნველყოს თითოეული ბავშვის დაცვა დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმისაგან ბავშვის, მისი მშობლების თუ მეურვეების რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების გამო. ასევე ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონების, შრომისუუნარობის, დაბადების თუ სხვა მდგომარეო-ბის გამო.. (2) სახელმწიფო-მხარეებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი შესაბამ-ისი ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბავშვი დაცული იყოს დისკრიმინა-ციის თუ დასჯის ყოველგვარი ფორმისაგან ბავშვის მშობლების, მეურვეების თუ ოჯახის წევრების სტატუსის, საქმიანობის, შეხედულებების თუ რწმენების გამო.

**შრომისუუნარო პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 1, 2, 3 და 4**; ასევე, დისკრიმინაციის კონკრეტული აკრძალვა მე-5 მუხლში: თანასწორობა და არა-დისკრიმინაცია:

1. სახელმწიფო-მხარეები აღიარებენ, რომ ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, ყველა ადამიანს აქვს უფლება, თანაბრად იყოს დაცული კანონით და თანაბრად ისარგებ-ლოს კანონით გათვალისწინებული შეღავათებით.
2. სახელმწიფო-მხარეებმა უნდა აკრძალონ ყოველგვარი დისკრიმინაცია შრომისუუნარობის ნიადაგზე და შრომისუუნარო ადამიანები უნდა უზრუნ-ველყონ თანასწორი და ეფექტური სამართლებრივი დაცვით დისკრიმინ-აციის ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ. იხილეთ, ასევე: შრომისუ-უნარო ადამიანების უფლებების კონვენციის მმე-2 მუხლი, რომელშიც "დისკრიმინაცია შრომისუუნარობის ნიადაგზე" განსაზღვრულია, რო-გორც გამოყოფა, გამორჩევა თუ შეზღუდვა შრომისუუნარობის გამო. ამის მიზანი ან შედეგია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო თუ სხვა სფეროში, თანასწორობის პრინციპით, ადამიანის უფლებებითა და ფუნდამენტური თავისუფლებებით სარგებლობის, მათი გამოყენების და აღიარების შეფერხება ან გაუქმება. ეს მოიცავს დის-კრიმინაციის ყველა ფორმას, მათ შორის, მისაღები პირობების მქონე საცხოვრებლით უზრუნველყოფის აუცილებლობის უგულებელყოფას.

სექსუალობისა და, კონკრეტულად, სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე დისკრიმინაციის პრევენციის სპეციალური წყაროები იხილეთ: ადამიანის უფლებების კომიტეტის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებული იქნა რიგით ორმოცდამეათე სხდომაზე, Toonen v. Australia, შეტყობინება № 488/1992, გაეროს დოკუმენტი CCPR/C/50/D/488/1992 (1994); http://hrw.org/lgbt/pdf/toonen.pdf და ადამიანის უფლებების კომიტეტის მომდევნო შეტყობინებებსა და დასკვნით შენიშვნებში, რომლებიც გაეგზავნა სახელმწიფოებს. ასევე, I., Saiz (2004) Bracketing Sexuality: ადამიანის უფლებები და სექსუალური ორიენტაცია – განვითარების ერთი ათწლეული, გაერო. 7 (2) ჯანმრთელობა და ადამიანის უფლებები, კვარტალური გამოცემა, pp. 49-80. იმ ქალებისათვის, რომლებიც თანასწორობის უფლებას მოკლებულნი არიან მათი სექსუალობის შესახებ გავრცელებული შეხედულების გამო, იხილეთ ადამიანის უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი № 28, ICCPR მე-3 მუხლის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით:უფლებათა თანასწორობა მამაკაცებსა და ქალებს შორის (2000), გაეროს დოკუმენტი CCPR/C/21/Rev.1/Add.10.

**გაეროს (2003) საერთო შეთანხმების განცხადება:** ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა განვითარების თანამშრომლობის მიმართ – გაეროს სააგენტოებს შორის საერთო შეთანხმების მიღწევისაკენ. გაეროს სააგენტოთაშორისო სემინარი, 2003 წლის მაისი. იხილეთ: **ქალების წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის კონვენცია,** მუხლი 7: სახელმწიფო-მხარეებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები იმისათვის, რომ აღმოიფხვრას დისკრიმინაცია ქალების წინააღმდეგ, ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კერძოდ, უნდა უზრუნველყონ ქალები, მამაკაცებთან თანასწორობის საფუძველზე, შემდეგი უფლებებით:

ა. ხმის მიცემის უფლება ნებისმიერ არჩევნებსა და საზოგადოებრივ რეფერენდუმებში და საჯაროდ არჩეული ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება;

ბ. მონაწილეობის მიღება სამთავრობო პოლიტიკის ფორმულირებასა და მის განხორციელებაში, სახელმწიფო თანამდებობის დაკავება და შესაბამისი ფუნქციების შესრულება მთავრობის ყველა დონეზე;

გ. მონაწილეობა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ასოციაციებში, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებით. ყოველივე ეს, ასევე, გამოითქვა CEDAW კომიტეტის ზოგად რეკომენდაციაში №23 პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ, მის მე-16 სხდომაზე, რომელიც 1997 წელს ჩატარდა. ასევე, იხილეთ: იოგიაკარტას 25-ე პრინციპი (Yogyakarta Prin-

ciple 25): საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება – იოგიაკარტას პრინციპები: ადამიანის უფლებების საერთაშორისო კანონის გამოყენება სექსუალური ორიენტაციის და გენდერული ინდივიდუალობის სფეროში.

**საერთაშორისო რეკომენდაციები აივ-შიდსთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით** (2006 კონსოლიდირებული ვერსია). ადამიანის უფლებებისა და UNAIDS-ის უმაღლესი კომისრის ოფისი და:
www.ohchr.org/english/issues/hiv/guidelines.htm

იხ.: ბავშვის უფლებების კონვენციის კომიტეტის ზოგადი კომენტარი 4 "მოზარდების ჯანმრთელობა და განვითარება ბავშვის უფლებების კონვენციის კონტექსტში (2003) პუნქტი 8: პატივისცემა ბავშვის შეხედულებებისადმი: შეხედულებების გამოხატვის თავისუფლება და მათი გათვალისწინება (მუხლი 12), ასევე, ფუნდამენტურია მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვისა და განვითარების უფლების რეალიზაცია. სახელმწიფო-მხარეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მოზარდებს მიეცეთ საკუთარი აზრების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა ყველა იმ საკითხზე, რომელიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს მათზე, განსაკუთრებით ოჯახში, სკოლაში და მათ გარემომცვე საზოგადოებაში. იმისათვის, რომ მოზარდებმა უსაფრთხოდ და ჯეროვნად შესძლონ ამ უფლებით სარგებლობა, სახელმწიფო ორგანოებმა, მშობლებმა და სხვა მოზრდილებმა, რომლებიც მუშაობენ ბავშვებთან, უნდა შექმნან ნდობის, ინფორმაციის გაზიარების, მოსმენის უნარისა და ხელმძღვანელობის ხელსაყრელი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს მოზარდების თანასწორ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. იხილეთ,
სქესობრივი დისკრიმინაციისა და ცვალებადობის კონტექსტში, ადამიანის უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი №28, მამაკაცებსა და ქალებს შორის უფლებების თანასწორობის შესახებ. იხილეთ, ასევე, იოგიაკარტას
პრინციპი 22 (Yოგყაკარტა Pრინციპლე 22) გადაადგილების თავისუფლების შესახებ, ასევე, საერთაშორისო რეკომენდაციები აივ-შიდსისა და ადამიანის უფლებების შესახებ, 2006. საერთაშორისო ხელშეკრულება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1996, მუხლი 9.1: ყოველ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება. არავინ არ უნდა დაექვემდებაროს თვითნებურ დაპატიმრებას ან დაკავებას. არავის არ უნდა ჩამოართვან თავისუფლება, გარდა იმ მიზეზებისა და პროცედურების შესაბამისად, რომლებიც კანონით არის დადგენილი. საერთაშორისო ხელშეკრულება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1966, მუხლი 7: "არავინ არ უნდა დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაჰუმანურ, ღირსების შემლახავ მოპყრობას და დასჯას. კერძოდ, არავინ არ უნდა დაექვემდებაროს, თავისუფალი ნების გარეშე, სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტებს".

წამების წინააღმდეგ შექმნილმა კომიტეტმა (Committee Against Torture) ამგვარი დაცვის საშუალებები, აშშ ციხეებში მყოფი ქალების წინააღმდეგ სქესობრივი ძალადობის საკითხებს მიუსადაგა. ამასთანავე, კომიტეტის საქმიანობა ეფექტურია წამებისა და სასტიკი არაჰუმანური და შემლახავი მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. გაეროს (2000) წამების წინააღმდეგ კომიტეტის დასკვნები და რეკომენდაციები: ამერიკის შეერთებული შტატები. დოკუმენტი A/55/44, პუნქტი: 175-180. ასევე, კომიტეტმა, წამებისა და სასტიკი, არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის წინააღმდეგ დაცვის საშუალებები დააწესა, კერძოდ, გაშიშვლებისა და ჩხრეკის უფლების ბოროტად გამოყენებისადა სხვა მეთოდებისთვის, რომლებიც მიმართულია ჰომოსექსუალური ან სქესთან შეუსაბამო პირებისაკენ.

წამების წინააღმდეგ კომიტეტის სპეციალურმა მომხსენებელმა ანალოგიურად გამოხატა სერიოზული წუხილი სექსუალური თავდასხმისა და წამების, სასტიკი, არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის მეთოდების გამოყენების შესახებ, რომლებიც მიმართულია სქესობრივი თუ გენდერული ინდივიდუალობის მქონე პირებისაკენ. იხილეთ: საერთაშორისო სასამართლო ორგანოს სახელმძღვანელო, გვ. 106-122. გაეროს დოკუმენტი EIčN.4/2002/76. სხეულის ინტეგრირებულობის უფლება სულ უფრო და უფრო აქტიურად გამოიყენება იმ გარანტიების მოპოვებისთვის, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ ადამიანები, განსაკუთრებით კი ქალები, დაცულნი იქნან ძალადობისა და სხვა სახის შეურაცხყოფისაგან, რასაც შედეგად მოჰყვება ჯანმრთელობის გაუარესება და დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შეზღუდვა. იხილეთ: გაეროს მეოთხე მსოფლიო კონფერენცია ქალების სამოქმედო პლატფორმის შესახებ (FWCW), პეკინი, ჩინეთი: 4 – 15 სექტემბერი, 1995 წელი, პუნქტი 112. ასევე, იხილეთ: გაეროს გენერალური მდივნის მიერ ჩატარებული ღრმა კვლევა, რომელიც ეხება ქალების წინააღმდეგ ძალადობის ყველა ფორმას, სხეულის ინტეგრირებულობის უფლებების გათვალისწინებით. გაეროს დოკუმენტი A162/122/Add., პუნქტი 277.

**გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია** A/Res/S-23/3, პუნქტი 69, პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის განხორციელების ხუთწლიანი მიმოხილვის შედეგების შესახებ: www.un.org/womenwatch/daw/followup/ress233e.pdf

იხილეთ **გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის მოხსენება ადამიანის უფლებების დამცველთა მდგომარეობის შესახებ**, E/CN.4/2006/95/Add.1, 22 მარტი, 2006; ქალების წინააღმდეგ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებელი; E/CN.4/2005/72/Add. 3, 10 თებერვალი, 2005, პუნქტი 21; ადამიანის უფლე-

ბების კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები: ჩილე, CCPR/C/79/ Add.104, 30 მარტი, 1999, პუნქტი 20; არასასამართლო სადამსჯელო ქმედებების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, E/CN.4/2002/74, 9 იანვარი, 2002; არასასამართლო, არასამართლებრივი ან თვითნებური სადამსჯელო ქმედებების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, E/CN.4/2001/9, 11 იანვარი, 2001 და E/CN.4/2001/9/Add.1, 17 იანვარი, 2001, პუნქტი 175. იხილეთ, ასევე, **იურისტების საერთაშორისო კომისია, სქესობრივი ორიენტაცია და გენდერული ინდივიდუალობა ადამიანის უფლებების შესახებ კანონში, იურისპრუდენციისა და გაეროს ადამიანის უფლებების სისტემის დოქტრინის რეფერენციები**, 2007 წლის ოქტომბერი, შემდეგ ვებ-საიტზე: www.icj.org/news.php3?id_ article=4209&lang=en

ეს საკითხი ნათლად არის ასახული **საერთაშორისო კანონში ადამიანის უფლებების შესახებ**, მაგალითისათვის იხილეთ: ქალების სტატუსის კომისიის რეზოლუცია 51/2 ქალის სასქესო ორგანოების დაზიანების შეწყვეტის შესახებ, რეზოლუცია 51/3 მდედრობითი სქესის ბავშვთა იძულებითი ქორწინების შესახებ გაეროს დოკუმენტი E/2007/27-E/CN.6/2007/9; ქალების წინააღმდეგ ძალადობის შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში: კულტურული წესები ქალების მიმართ მოძალადე ოჯახებში, E/CN.4/2002/83 31 იანვარი, 2002.

**საერთაშორისო რეკომენდაციები აივ-შიდსისა და ადამიანის უფლებების შესახებ**, 2006 წლის კონსოლიდირებული ვერსია, გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისი და UNAIDS: http://www.ohchr.org/english/issues/hiv/guidelines.htm ასევე, ევროპაში სექს-მუშაკების მანიფესტი და ევროპაში სექს-მუშაკების უფლებების დეკლარაცია:
http://www.sexworkeurope.org/site/index.php?option=com_content&task=view&id=24&Itemid=201 იხილეთ საერთაშორისო რეკომენდაციები აივ-შიდსისა და ადამიანის უფლებების შეახებ (2006) კონსოლიდირებული ვერსია, ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისი და UNAIDS: www.ohchr.org/english/issues/hiv/guidelines.htm

იხილეთ, ასევე, იოგიაკარტას პრინციპი 7 (Yogyakarta Principle 7).
იხილეთ იოგიაკარტას პრინციპი 5 (Yogyakarta Principle 5).

**ადამიანის უფლებების კომისიის რეზოლუცია 1998/52, ქალების წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრა**, ESCOR Supp. (No. 3) 171, გაეროს დოკუმენტი E/CN.4/1998/52 (1998); ქალების წინააღმდეგ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, ქალბატონი რადჰიკა კუმარასუომი (Ms. Radhika Coomaraswamy), წარდგენილი ადამიანის უფლებების კომისიის 1997/44 რეზოლუციის შესაბამისად,

გაეროს დოკუმენტი E/CN.4/1998/54.

**გენდერულ ნიადაგზე დევნის შესახებ შენიშვნები ცისფერებთან და სქესთან შეუსაბამო პირებთან (ტრანსგენდერები, ტრანსსექსუალები) და თავშესაფრით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით,** იხილეთ: არასასამართლო სადამსჯელო ქმედებების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, E/CN.4/2002/74, 9 იანვარი, 2002; არასასამართლო, არასამართლებრივი ან თვითნებური სადამსჯელო ქმედებების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, E/CN.4/2001/9, 11 იანვარი, 2001 და E/ CN.4/2001/9/ Add.1, 17 იანვარი, 2001, პუნქტი 175. ასევე, იხილეთ იურისტების საერთაშორისო კომისია: სქესობრივი ორიენტაცია და გენდერული ინდივიდუალობა ადამიანის უფლებების შესახებ კანონში, გაეროს ადამიანის უფლებების სისტემის იურისპრუდენციისა და დოქტრინის რეფერენციები, 2007 წლის ოქტომბერი, გვ. 177-180, შემდეგ ვებ-საიტზე: www.icj.org/news.php3?id_article=4209&lang=en გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის (1995) რეკომენდაციები ლტოლვილთა წინააღმდეგ სექსუალური ძალადობის პრევენციასა და მასზე რეაგირებასთან დაკავშირებით: www.unhcr.org/publ/PUBL/3b9cc26c4.pdf იხილეთ, ასევე, იოგიაკარტას პრინციპი 23 (Yogyakarta Principle 23). იხილეთ, ასევე: გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი (2003): ლტოლვილთა, სამშობლოში დაბრუნებულთა და ქვეყანაში იძულებით გადაადგილებულთა წინააღმდეგ სექსუალური და გენდერული ძალადობა: პრევენციისა და რეაგირების რეკომენდაციები და იოგიაკარტას პრინციპი 23.

**საერთაშორისო ხელშეკრულება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ,** მუხლი 17: არავინ არ უნდა დაექვემდებაროს თვითნებურ ან არაკანონიერ ჩარევას მის პირად ცხოვრებაში, ოჯახში, სახლში ან კორესპონდენციაში და არც არაკანონიერ თავდასხმას მის ღირსებასა და რეპუტაციაზე.

**იხილეთ: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (2004)** აივ სტატუსის გამჟღავნება სექსუალური პარტნიორებისათვის: შეფასებები, ბარიერები და შედეგები ქალებისათვის. ჟენევა: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია WHO. www.who.int/gender/documents/en/VCTinformationsheet_%5b92%20KB%5d.pdf

სრული ანგარიშისათვის იხილეთ:
www.who.int/gender/documents/en/genderdimensions.pdf

**იოგიაკარტა პრინციპი 9 (Yogyakarta Principle 9).** *IBID.*
გაეროს პროტოკოლი ადამიანთა, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის პრევენციის, აღმოფხვრისა და დასჯის შესახებ, რომელიც თან ერთვის გაერთიანებული ერების კონვენციას ტრანსნაციონალური

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, შემდეგ ვებ-საიტზე:
www.unodc.org/unodc/en/crime_cicp_convention.html#final

**ჯაკარტას პრინციპი 19 (Yogyakarta Principle 19).**
**ადამიანის უფლებების მსოფლიო დეკლარაცია,** 1948, მუხლი 19: ყველას აქვს აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება; ეს უფლება მოიცავს აზრის ქონის უფლებას ყოველგვარი ჩარევის გარეშე და ინფორმაციისა და მოსაზრებებისმოძიების, მიღებისა და გადაცემის უფლება ნებისმიერი მედიით, საზღვრების მიუხედავად.

**ჯაკარტას პრინციპი 19 (Yogyakarta Principle 19).**
ადამიანის უფლებების მსოფლიო დეკლარაცია, მუხლი 20: ყველას აქვს მშვიდობიანი შეკრებისა და ასოციაციისთავისუფლების უფლება. დაუშვებელია იძულებითი გაერთიანება ამა თუ იმ ასოციაციაში.

**საერთაშორისო ხელშეკრულება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ,** მუხლი 12.1: წინამდებარე ხელშეკრულების მხარე-სახელმწიფოები აღიარებენ ყოველი ადამიანის უფლებას, ისარგებლოს ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობის მაქსიმალურად შესაძლებელი უმაღლესი სტანდარტით.

**ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი 14:** ჯანმრთელობის მაქსიმალურად მაღალი სტანდარტის უფლება (სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულების მუხლი 12, 2000).

IPPF წესდება სქესობრივი და რეპროდუქციული უფლებების შესახებ:
www.ippf.org/en/Resources/Statements/IPPF+Charter+on+Sexual+and+Reproductive+Rights.html
ასევე, **ჯაკარტას პრინციპი 21 (Yogyakarta Principle 21).**
**საერთაშორისო ხელშეკრულება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ,** მუხლი 15.1(ბ): წინამდებარე ხელშეკრულების მხარე-სახელმწიფოები აღიარებენ ყოველი ადამიანის უფლებას, ისარგებლოს(ბ) მეცნიერული პროგრესის მიღწევებით და მათი გამოყენებით.

**ქალების წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის კონვენცია,** მუხლი 10(თ): მხარესახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა იმისათვის, რომ აღმოიფხვრას დისკრიმინაცია ქალების წინააღმდეგ, რათა მათთვის გარანტირებული იქნას მამაკაცებთან თანასწორი უფლებები განათლების სფეროში. განსაკუთრებით, (თ) იმ სპეციალური საგანმანათლებლო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც ხელს შეუწყობს ოჯახების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებას, მათ

შორის იგულისხმება ინფორმაცია ოჯახის დაგეგმვის შესახებ.
იხილეთ **საერთაშორისო კონფერენცია მოსახლეობის განვითარების შესახებ, მთავარი ქმედებები მოსახლეობისგანვითარების შესახებ საერთაშორისო კონფერენციის სამოქმედო გეგმის შემდგომი განხორციელებისათვის,** გაეროს დოკუმენტი A/Res/S-21/2, პუნქტი 73: ყველა სახელმწიფოს მთავრობამ, ახალგაზრდობის სრული მონაწილეობით და საერთაშორისო თანასაზოგადოების მხარდაჭერით, პრიორიტეტის სახით, ყოველგვარი ზომა უნდა მიიღოს იმისათვის, რომ განხორციელებული იქნას სამოქმედო გეგმა 7.45 და 7.46 პუნქტების შესაბამისად,მოზარდთა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის თვალსაზრისით. გათვალისწინებული უნდა იყოსმშობლების უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა. დაცული უნდა იყოს მოზარდთა განვითარების შესაძლებლობებისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ განათლებისა და ინფორმაციისა მიღების უფლება. ასევე მნიშვნელოვანია მათი კულტურული ღირებულებებისა და რელიგიური რწმენის პატივისცემა.... აუცილებელია,რომ მოზარდმა, როგორც სკოლაში, ისე მის გარეთ, მიიღოს საჭირო ინფორმაცია, პრევენციის, განათლების, კონსულტაციისა და ჯანდაცვის მომსახურეობების შესახებ, რაც მას მისცემს პასუხისმგებლური და ინფორმირებული არჩევანისა და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით და იმისათვის, რომ, ინტერ ალია, შემცირდეს მოზარდთა ორსულობის შემთხვევების რიცხვი.

www.unfpa.org/icpd/docs/icpd5/resolution/icpd5_eng.pdf
IPPF წესდება სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების შესახებ, 8.1:
www.ippf.org/en/Resources/Statements/IPPF+Charter+on+Sexual+and+Reproductive+Rights.htm.**იოგიაკარტას პრინციპი 24 (Yogyakarta Principle 24)**

**კონვენცია ქალების დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის შესახებ,** მუხლი 16(1)(ე): მხარესახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი შესაძლო ზომები იმისათვის, რომ აღმოიფხვრას ქალთა დისკრიმინაცია ყველა საკითხში, რომელიც დაკავშირებულია ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობებთან. ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყოფილი უნდა იქნას..... (ე) თანაბარი უფლება; თავისუფლად და სრული პასუხისმგებლობით მიიღონ გადაწყვეტილება შვილების რაოდენობისა და მათ შორის ინტერვალების შესახებ. ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ ინფორმაციის, განათლებისა და საშუალებების მოპოვება, რომელიც მათ ამ უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას მისცემს.

**ჯაკარტას პრინციპი 28 და პრინციპი 29 (Yogyakarta Principle 28 and 29).**

# სექსუალური უფლებები: IPPF დეკლარაცია

## (შემოკლებული ვერსია)

## პრეამბულა

IPPF მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობას ყოველი ადამიანისათვის. IPPF აცნობიერებს და დარწმუნებულია, რომ სექსუალური უფლებები წარმოადგენს ადამიანის უფლებების ნაწილს. აქედან გამომდინარე, IPPF დარწმუნებულია, რომ სექსუალური უფლებების ქონა განამტკიცებს ყოველი ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ღირსებას. IPPF დეკლარაცია ეყრდნობა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო დოკუმენტებს, მათ შორის გაერთიანებული ერების კონვენციას.

1. IPPF აღიარებს, რომ სექსუალობა წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლის მნიშვნელოვან ნაწილს მთელი მისი ცხოვრების მანძილზე.

2. IPPF მიზნად ისახავს სექსუალური უფლებების მხარდაჭერას და იმის უზრუნველყოფას, რომ ეს უფლებები ხელმისაწვდომი იყოს ყველასათვის, შეძლებისდაგვარად სწრაფად.

3. IPPF-ის ხედვა: ყველა ადამიანის სექსუალური დამოუკიდებლობის უფლების პატივისცემა, ჯანმრთელობის დაცვა და ხელშეწყობა არადისკრიმინაციის ფარგლებში,

4. IPPF დარწმუნებულია, რომ სექსუალური უფლებები უნდა დავიცვათ ისეთი ანგარიშ ვალდებული სტრუქტურების და ზოგადად პოლიტიკის შექმნით, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ უფლებების ჯეროვნად გაგებასა და გამოყენებას ყოველი ადამიანისათვის.

# ზოგადი პრინციპები

## პრინციპი 1
სექსუალობა წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს. ყოველ ადამიანს უნდა შეეძლოს სექსუალობის თავისუფლად გამოხატვა მის მიერ შერჩეული ნებისმიერი გზით. ჯანმრთელობა და ადამიანის მიერ მისი სექსუალობის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა ცენტრალურ როლს თამაშობს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური სფეროების განვითარების შესაძლებლობაში.

## პრინციპი 2
თვრამეტ წლამდე ასაკის ადამიანის უფლებები და მათი დაცვა ზოგჯერ გასხვავდება მოზრდილების უფლებებისა და დაცვის მეთოდიკისაგან. ეს სხვადასხვა უფლებები ყოველთვის უნდა ემსახურებოდეს თვრამეტ წლამდე ასაკის ადამიანების საუკეთესო ინტერესებს და უნდა აღიარებდეს უშუალოდ მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღების სხვადასხვა შესაძლებლობებს.

## პრინციპი 3
IPPF დარწმუნებულია, რომ ადამიანის უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის საფუძველს არადისკრიმინაცია წარმოადგენს. ეს ნიშნავს, რომ დაუშვებელია ნებისმიერი ადამიანის მიმართ განსხვავებული თუ არათანასწორი მოპყრობა მისი სექსუალობის სქესისა და ასაკის მიზეზით.

## პრინციპი 4
ადამიანებს უნდა შეეძლოთ მათი სექსუალობით სარგებლობა შვილების გაჩენის აუცილებლობის გარეშე.

## პრინციპი 5
ყოველ ადამიანს აქვს უფლება, იყოს დაცული სექსუალობასთან დაკავშირებული ზიანისაგან და მოითხოვოს დახმარება. თვრამეტ წლამდე ასაკის ყველა ადამიანი უნდა იყოს უზრუნველყოფილი ექსპლოატაციის ყოველგვარი ფორმისაგან სპეციალური დაცვით.

## პრინციპი 6
სექსუალური უფლებების შეზღუდვა მხოლოდ კანონით არის შესაძლებელი, რათა დაცული იქნას კანონით გათვალისწინებული ადამინის უფლებები და თავისუფლება. ადამიანის მიერ მისი სექსუალობის გამოხატვის თავისუფლება მხოლოდ კანონით უნდა იქნას შეზღუდული; მისი ვალდებულებებია:

**სხვისი უფლებებისა და**

1. თავისუფლებების დაცვა და პატივისცემა;

2. საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფა დემოკრატიულ საზოგადოებაში;

3. საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი
წესრიგის დაცვა.

ყოველგვარი შეზღუდვა უნდა იყოს დასაბუთებული და აუცილებელი და არ უნდა იქნას მოტივირებული ისეთი მიზეზით, რომელიც დისკრიმინაციას განაპირობებს. ყოველგვარი შეზღუდვა, კანონმდებლობით უნდა იქნას დასაბუთებული.

### პრინციპი 7

სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან და პატივი უნდა სცენ სექსუალურ უფლებებს და უზრუნველყონ ამ უფლებებითსარგებლობის თავისუფლება ყოველი ადამიანისათვის.

## სექსუალური უფლებები არის ადამიანის უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია სექსუალობასთან

### მუხლი 1:

თანასწორობის უფლება, კანონის თანასწორი დაცვა და თავისუფლება დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმისაგან სქესისა და სექსუალობის ნიადაგზე

- ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი ღირსებისა და უფლებების თვალსაზრისით.

- ყველა ადამიანს უნდა მიენიჭოს ყველა უფლება, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.

- ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, უნდა მიეცეს შესაძლებლობა, თავად გააკეთოს არჩევანი და მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებით.

## მუხლი 2:

მონაწილეობის უფლება, სქესის, სექსუალობის თუ გენდერის მიუხედავად. ყველა ადამიანს აქვს უფლება, იცხოვროს ისეთ - გარემოში, რომელშიც შესაძლებელია აქტიური, თავისუფალი და აზრიანი მონაწილეობა ადამიანის ცხოვრების ნებისმიერ სფეროში.

- ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, აქვს უფლება, შეეძლოს ზეგავლენის მოხდენა ისეთ საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც უშუალოდ მოქმედებს მის კეთილდღეობაზე.

- ახალგაზრდობას უნდა შეეძლოს აქტიური როლის თამაში საზოგადოებრივი (სოციალური) დამოკიდებულებების შეცვლაში.

- ყველას, გამონაკლისის გარეშე, უნდა შეეძლოსმონაწილეობის მიღება საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

- ყველას, გამონაკლისის გარეშე, უნდა შეეძლოს თავისუფლად მგზავრობა როგორც საზღვარგარეთ, ისე საკუთარი ქვეყნის ფარგლებში.

## მუხლი 3.

სიცოცხლის, თავისუფლების, დაცვისა და ხელშეუხებლობის უფლებები. ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, აქვს - სიცოცხლისა და თავისუფლების უფლება, აქედან გამომდინარე არავის აქვს უფლება იგი დაუქვემდებაროს წამებას, არაჰუმანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას. ეს, ასევე მოიცავს ყოველი ადამიანის მიერ, ძალადობისა თუ იძულების გარეშე, მისი სექსუალობით სარგებლობის უფლებას.

- დაუშვებელია ადამიანებისათვის ზიანის მიყენება ან მათი მკვლელობა იმისათვის, რომ დაცული იქნას ამა თუ იმ ოჯახის თუ საზოგადოების რეპუტაცია ან ღირსება.

- დაუშვებელია ადამიანის მკვლელობა მისი სექსუალური (სქესობრივი) ქცევის გამო.

- ქალების სამედიცინო მოვლა არ უნდა ეფუძნებოდეს არავითარ სხვა მოსაზრებას, გარდა მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფისა.

- არცერთ ქალი არ უნდა აიძულონ, იყოლიოს ან არ იყოლიოს შვილები;

- ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, აქვს უფლება, არ მიაყენონ ზიანი ადათ-წესების მიუხედავად (როგორიცაა გენიტალიის წინადაცვეთა და ადრეული ქორწინება).

- ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, აქვს უფლება, დაცული იყოს სექსუალობასთან დაკავშირებული ძალადობისაგან.

- ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, აქვს უფლება, დაცული იყოს სტიგმის საფუძვლად შექმნილი ძალადობის რისკისა და დისკრიმინაციისაგან, მისი სქესისა თუ სექსუალობის ნიადაგზე.

- დაუშვებელია ადამიანის დაპატიმრება ან დაკავება ვინმესთან შეთანხმებული სექსის გამო, თუ კანონი კონკრეტულად და სამართლიანად არ კრძალავს ასეთ ურთიერთობას.

- არავინ არ უნდა დაექვემდებაროს ძალადობას, შეურაცხყოფას ან შევიწროებას მისი სექსუალური არჩევნის გამო.

- ყველა მიგრანტისათვის, გამონაკლისის გარეშე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაცვა სხეულის დაზიანებისა და ძალადობისაგან მისი სექსუალური თუ სექსობრივი გამოხატვის ნიადაგზე.

- ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, აქვს უფლება, მოითხოვოს და ისარგებლოს თავშესაფრითა და დაცვით, თუ მას დევნიან მისი სექსუალური ორიენტაციის ან აიდ სტატუსის გამო.

- დაუშვებელია ამა თუ იმ ადამიანის დეპორტირება, თუ მას აქვს კარგად დასაბუთებული შიში იმისა, რომ მისი სექსუალობის ან აიდ სტატუსის გამო შეიძლება ზიანი მიაყენონ.

## მუხლი 4.
### კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

- ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, აქვს უფლება, არ დაექვემდებაროს თვითნებურ ჩარევას კერძო ცხოვრებაში.

- კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სექსუალური დამოუკიდებლობით სარგებლობისათვის.

- ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, აქვს სექსუალური დამოუკიდებლობის უფლება და უფლება, თავად მიიღოს გადაწყვეტილება მისი

საკუთარი სექსუალობის თაობაზე, სხვათა თვითნებური ჩარევის გარეშე.

- ყველას აქვს კონფიდენციალობის უფლება ჯანდაცვის მომსახურეობასთან დაკავშირებით და უფლება, დაცული იქნას ინფორმაცია, რომელიც მათ აივ სტატუსს ეხება.

- ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, აქვს უფლება, აკონტროლოს იმ ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც ეხება მის სექსუალურ არჩევნებს და სხვა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია მის სექსუალობასთან.

## მუხლი 5.
## პერსონალური დამოუკიდებლობისა და კანონის წინაშე აღიარების უფლება

- ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, აქვს უფლება, აღიარებული იქნას კანონის წინაშე და ისარგებლოს სექსუალური თავისუფლებით.

- ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, აქვს უფლება, ყველგან იქნას აღიარებული კანონის წინაშე, დისკრიმინაციის გარეშე.

- ყველა ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი სექსუალური პრაქტიკისა და ქცევის შესახებ ისეთ გარემოში, რომელშიც დაუშვებელია დისკრიმინაცია, ძალადობა, იძულება და შეურაცხყოფა.

- არავინ არ უნდა იქნას მიჩნეული დამნაშავედ - ამა თუ იმ დანაშაულში შეთანხმებული სექსუალური პრაქტიკისა თუ ქცევის საფუძვლად.

- ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, მეურვეობის ქვეშ ყოფნის დროს, აქვს უფლება, არ დაექვემდებაროს ზიანს თუ შეურაცხყოფას დისკრიმინაციის საფუძვლად. ასევე, მეურვეობის ქვეშ მყოფ ყველა ადამიანს აქვს მეუღლის რეგულარული მონახულების უფლება.

- ყველა ადამიანი, გამონაკლისის გარეშე, თავისუფალი უნდა იყოს საშიშროებებისაგან, რომლებიც დაკავ- შირებულია ტრეფიკინგის დანაშაულთან.

- არავინ არ უნდა დაექვემდებაროს სამედიცინო გამოკვლევას ან სამედიცინო პროცედურებს მისი ნების საწინააღმდეგოდ, სექსუალური გამოხატვის, სექსუალური ორიენტაციის, სექსუალური წარსულის ან ქცევის – რეალურის თუ საეჭვოს გამო.

- ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, აქვს უფლება, დაცული იქნას სამედიცინო პროცედურების იძულებით გავლისაგან მისი სქესის იდენტურობის იურიდიული აღიარების მოთხოვნის გამო. ასევე აქვს უფლება დაცული იქნას ზეწოლისაგან მისი სქესის, ასაკის, სქესობრივი იდენტურობის ან სექსუალური ორიენტაციის გამომჟღავნების მცდელობის გამო.

- არავის არ უნდა ეთქვას უარი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემაზე, რომლებშიც მითითებულია მათი სქესი, რომელიც ასახავს პირის მიერ შერჩეულ გენდერულ იდენტურობას.

## მუხლი 6:
### ფიქრის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება; ურთიერთობის უფლება

ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, აქვს უფლება, საკუთარი სურვილისამებრ გააკეთოს სექსუალობის გამოხატვის არჩევანი, ყოველგვარი თვითნებური ჩარევისა თუ შეზღუდვების გარეშე დომინანტური კულტურული შეხედულებების საფუძვლად.

- ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, აქვს ფიქრის, სინდისისა და რელიგიური რწმენის თავისუფლების უფლება, ბავშვების განვითარებადი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

- ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, აქვს საკუთარი სექსუალობის განსაზღვრის უფლება, მისი სურვილების გამოხატვის შიშის გარეშე, სხვათა უფლებების გათვალისწინებით.

- ყველა ადამიანს, განსაკუთრებით ქალებს, აქვთ საკუთარი თავის თავისუფლად გამოხატვის უფლება მათთვის სასურველი ნებისმიერი გზით, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე.

- ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, აქვს უფლება, მოითხოვოს, მიიღოს და სხვას გადასცეს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ინფორმაცია, სხვათა უფლებების პატივისცემით და ბავშვთა შესაძლებლობების გათვალისწინებით.
- ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, აქვს სხვებთან მშვიდობიანი შეხვედრის, ურთიერთობისა და შეკრების უფლება. ეს მოიცავს ჯგუფებში გაერთიანებისა და მათი შექმნის უფლებას სხვა ადამიანებისათვის სექსუალური უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

## მუხლი 7:
## ჯანმრთელობის დაცვისა და მეცნიერული პროგრესის მიღწევებით სარგებლობის უფლება

- ყველა ადამიანს აქვს უფლება, ისარგებლოს ჯანდაცვის უმაღლესი სტანდარტებით.

- ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, აქვს უფლება, მოითხოვოს უსაფრთხო სექსის პრაქტიკა, არასასურველი ორსულობისა და სქესობრივი გზით გადამცემი ინფექციების პრევენციის მიზნით.

- ყველა ადამიანს აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს იმ კანონების დაწესებაში, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე მის საზოგადოებაში.

- ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, აქვს უფლება, მიიღოს ისეთი მომსახურეობა, რომელიც ითვალისწინებს მარგინალიზებული პირებისა და საზოგადოებების სპეციალურ საჭიროებებს.

- ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, აქვს ჯანდაცვის მომსახურეობების ხელმისაწვდომობის უფლება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ჯანდაცვის სერვის-პროვაიდერები ამის წინააღმდეგნი არიან.

- ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, აქვს სექსუალური უფლებების შესახებ ინფორმაციისა და ჯანდაცვის საუკეთესო მომსახურეობების ხელმისაწვდომობის უფლება მეცნიერულად დადასტურებული კვლევების საფუძვლად.

- სექს-მუშაკებს აქვთ უსაფრთხო სამუშაო პირობებისა და სამუშაო ადგილებზე უსაფრთხო სექსის პრაქტიკის მოთხოვნის შესაძლებლობის უფლება.

- შეიარაღებულ კონფლიქტში მყოფ ან იძულებით გადაადგილებულ პირებს უნდა შეეძლოთ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურეობებით სარგებლობა.

- ყველა ადამიანს, გამონაკლისების გარეშე, აქვს ჯანმრთელობის დაცვის დარგში მეცნიერული პროგრესის მიღწევებითა და სექსუალურ უფლებებსა და სქესობრივ ჯანმრთელობაზე მათი ზემოქმედების შედეგებით სარგებლობის უფლება.

**მუხლი 8.**
**განათლებისა და ინფორმირებულობის უფლება.** ყველა ადამიანს, ყოვე გვარი დისკრიმინაციის - გარეშე, აქვს სრულყოფილი სქესობრივი განა-თლებისა და ინფორმაციის მიღების უფლება, რომელიც აუცილებელი და სასარგებლოა სრულყოფილი მოქალაქეობისა და თანასწორობის უფლებე-ბით სარგებლობისათვის კერძო, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სფეროში;

- ყველა ადამიანს აქვს უფლება, მიიღოს განათლება, რომელიც მიზნად ისახავს სტიგმისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრას, ახალგაზრდობის (როგორც ინფორმირებული პიროვნებების, რომლებიც პასუხისმგე-ბლები არიან მათ საკუთარ სიცოცხლეზე) განვითარების ხელშეწყობას და რომელიც მისცემს უფლებას, მიიღოს მონაწილეობა სქესობრივ ჯან-დაცვასა და სექსუალურობის შესახებ, ინფორმირებულობასთან დაკავ-შირებული პოლიტიკის განსაზ- ღვრაში;

- ახალგაზრდობას აქვს უფლება, მიიღოს გასაგები, სექსუალური განა-თლება რათა შეძლოს მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება საკუ-თარი რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ;

- ახალგაზრდობას აქვს უფლება, გამოთქვას აზრი სექსუალურობის სრუ-ლყოფილი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სექსუალურობასთან დაკავშირებული პოლიტიკების შესახებ;

- ყველა ადამიანს აქვს უფლება და საშუალება გამოიმუშაოს უნარ-ჩვევე-ბი, უფრო ძლიერი და თანასწორი ურთიერთობების მისაღწევად.

- ახალგაზრდობას აქვს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება, რე-პროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ;

- ყველა ადამიანს, ქვეყნის საზღვრების მიუხედავად, უნდა ჰქონდეს ყვე-ლა იმ ტრადიციული და არატრადიციული ინფორმაციის ხელმისაწვდო-მობის უფლება (ნებისმიერი წყაროს მეშვეობით), რომელიც ამტკიცებს სექსუალორობას, სექსუალურ უფლებებს და სქესობრივ ჯანმრთელო-ბას; განსაკუთრებით კი, ახალგაზრდობას უნდა ჰქონდეს სექსუალური და გენდერული შეუთავსებლობისა და სქესობრივი ურთიერთობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება;

- ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს ინფორმაციის (მის- თვის გასაგებ ენაზე) ხელმისაწვდომობის უფლება, რომელიც ეხება სექსუალურობას, მათ შორის იგულისხმება ის ინფორმაციაც, რომელიც ეხება სქესობრივი

და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვას და გადაწყვეტილებების მიღებას, თუ როდის ხდება სქესობრივი ქცევა რეპროდუქციული და, თუ როდის, როგორ და ვისთან დაამყაროს სქესობრივი ურთიერთობა;

- ყველა ადამიანს აქვს უფლება, მიიღოს საკმარისი განათლება და ინფორმაცია, რათა ნებისმიერი გადაწყვეტილება, მისი სქესობრივი და რეპროდუქციული ცხოვრების შესახებ, მიღებული იქნას სრული, თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობით.

## მუხლი 9.
## ქორწინების, ოჯახის შექმნისა და დაგეგმვის და შვილების ყოლის, შვილების ყოლის გზებისა და დროის არჩევნის უფლება.

- ყველა ადამიანს აქვს უფლება, გადაწყვიტოს იყოლიოს თუ არა შვილი და, როდის იყოლიოს;

- ყველა ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად და სრული თანხმობით დაქორწინდეს ან, სხვაგვარი ურთიერთობა დაამყაროს არადისკრიმინაციის ფარგლებში,ბავშვთა განვითარებადი შესაძლებლობების გათვალისწინებით;

- ყველა ადამიანს აქვს უფლება აირჩიოს, დაქორწინდეს თუ არა, შექმნას და დაგეგმოს თუ არა ოჯახი, როდის იყოლიოს შვილები, თავისუფლად და პასუხისმგებლობის გრძნობით გადაწყვიტოს მათი რაოდენობა. იცხოვროს ისეთ გარემოში, სადაც კანონი და პოლიტიკა აღიარებს ოჯახის ფორმების სხვადასხვაგვარობას, მათ შორის ისეთ ფორმებს, რომლებიც არ არის განსაზღვრული მემკვიდრეობით თუ ქორწინებით.

- ყველა ადამიანს აქვს ინფორმაციის, განათლებისა და იმ საშუალებების ხელმისაწვდომობის უფლება, რომლებიც აუცილებელია შვილების ყოლა-არყოლის, დროის, შვილების რაოდენობისა და მათ შორის ინტერვალების თაობაზე გადაწყვეტილების გაცნობიერებულად, თავისუფლად და პასუხისმგებლობით მიღებისათვის;

- ყველა ადამიანს აქვს უფლება, გააკეთოს თავისუფალი და შეგნებული არჩევანი, რეპროდუქციასა და ოჯახის შექმნასთან დაკავშირებით; მათ შორის, მას აქვს უფლება, მიიღოს გადაწყვეტილება ბიოლოგიური თუ ნაშვილები შვილების ყოლა-არყოლის შესახებ. ასევე, მიიღოს ინფორმაცია ნაყოფიერების რეგულირების ყველა უსაფრთხო, ეფექტური, მაღები და ხელმისაწვდომი მეთოდების, რეპროდუქციული ტექნოლოგიებისა და მკურნალობის შესახებ;

- ყველა ადამიანს აქვს, რეპროდუქციასთან, უშვილობასა და ორსულობის შეწყვეტასთან დაკავშირებული საკონსულტაციო და სხვა მომსახურეობების ხელმისაწვდომობის უფლება, ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, არადისკრიმინაციის ფარგლებში და ბავშვების განვითარებადი შესაძლებლობების გათვალისწინებით;

- ყველა ქალს აქვს უფლება , მიიღოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვისთვის, უსაფრთხო დედობისა და უსაფრთხო აბორტისათვის, ხელმისაწვდომი, მისაღები და გამოსადეგი ინფორმაცია, განათლება და მომსახურეობა;

## მუხლი 10:
## ანგარიშვალდებულებისა და კომპენსაციის (სასამართლო დაცვის საშუალებების) უფლება

- ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, აქვს - შესაბამისი ორგანოს მიერ უზრუნველყოფილი ეფექტური, ადექვატური და ხელმისაწვდომი დაცვის უფლება იმისათვის, რომ გარანტირებული იქნას მისი სექსუალურიუფლებების რეალიზაცია. ეს მოიცავს სექსუალური უფლებების განხორციელებისა და, ასევე, სექსუალურიუფლებების დარღვევის წინააღმდეგ სასამართლო დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობის მონიტორინგს.

- სახელმწიფოები ანგარიშვალდებულნი უნდა იყვნენ სექსუალური უფლებების განხორციელებისა და უზრუნველყოფის გზებზე.

- ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, შეიარაღებული კონფლიქტის დროს, უნდა ჰქონდეს ეფექტური მონიტორინგისა და სექსუალური თუ გენდერული ძალადობის შემთხვევაში სასამართლო დაცვის საშუალებებით სარგებლობის უფლება.

- ყველა ადამიანისათვის, გამონაკლისის გარეშე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ის ინფორმაცია, რომელიც მას დაეხმარება კომპენსაციის მოთხოვნაში მისი სექსუალური უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

- ყველა ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, აქვს უფლება, პასუხისმგებლობა დააკისროს ამა თუ იმ არასახელმწიფო პირებს მათ მიერ ჩადენილ ქმედებებზე, რომლებიც უარყოფით ზეგავლენას ახდენენ მის შესაძლებლობებზე, ისარგებლოს საკუთარი სექსუალური უფლებებით.

- სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მესამე მხარის მიერ არ იქნას დარღვეული სხვათა სექსუალური უფლებები.

## დასკვნა

**სექსუალური უფლებები:**
IPPF დეკლარაცია გამიზნულია
სექსუალური უფლებების IPF პროგრამულ მიმართულებებსა
და ადვოკაციაში ინტეგრირებისთვის.
დამატებით ინფორმაციას მიღება
დეკლარაციის შესახებ შესაძლებელია
IPF-ის რეგიონალურ ოფისებში.

# ტერმინების განმარტება

**ავტონომია**: გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, სრული პიროვნული თავისუფლება;

**ტრეფიკინგი**: ადამიანების ფიზიკური, მორალური, სქესობრივი იძულებითი ექსპლუატაცია;

**განვითარებადი უნარი**: ბავშვების მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, რომელიც ხელს უწყობს მათ პიროვნულ განვითარებას

**გენდერი**: განსახვავებული ნიშანთვისებები რომელიც საზოგადოების გარკვეული ჯგუფისაგან მიეწერება ქალებს და მამაკაცებს;

**გენდერული ძალადობა**: ძალადობა რომელიც ეფუძნება განსახვავებულ ნიშანთვისებებს და რომელიც რომელიც საზოგადოების გარკვეული ჯგუფისაგან მიეწერება ქალებს და მამაკაცებს;

**გენდერული იდენტიფიკაცია**: ადამიანის შინაგანი მდგომარეობა, რის საფუძველზეც ხდება საკუთარი გენდერის
იდენტიფიცაცია;

**პრეამბულა**: დოკუმენტის ოფიციალური შესავალი , სადაც აღწერილია დოკუმენტის მიზანი და არსი;

**დისკრიმინაცია**: ადამიანის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება მისი რასის, სქესის, უუნარობის, გენდერის, სექსუალური ორიენტაციის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა მიზეზის გამო (რაც ადამიანის უფლების დარღვევაა);

**სქესი**: შინაგანი ბიოლოგიური მახასიათებლები რომელიც განასხვავებს ქალს მამაკაცისაგან, ზოგიერთ შემთხვევაში ეს მახასიათებლები არ არის ურთიერთგამომრიცხავი და პიროვნებას ორივე გააჩნია.

**სექსუალურობა**: ადამიანის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ცხოვრების ასპექტი, რომელიც ეხება მის სქესს, გენდერულ იდენტიფიკაციას და როლს, სექსუალურ ორიენტაციას, ეროტიულობას, სიამოვნებას ინტიმურობასა დარეპროდუქციას. სექსუალურობა გამოიხატება ფანტაზიაში, სურვილში, რწმენაში, დამოკიდებულებაში, ღირებულებეში, ქცევასა და ურთიერთობაში;

**სექსუალური უფლებები**: ადამიანის უფლებების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც აღიარებულია ეროვნულ კანონმდებლობებსა და ადამიანის საეთაშორისო უფლებათა კონვენციაში. ის მოიცავს ყველა ადამინის დისკრიმინაციისა და ძალადობისგან თავისუფალ უფლებას:

- ჰქონდეს ხელმისაწვდომი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთ-ელობის კვალიფიციური სერვისები;
- მოიძიოს, მიიღოს და გამოიყენოს სექსუალურობასთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- მიიღოს სექსუალური განათლება;
- ისარგებლოს პირადი ცხოვრების დამოუკიდევლად მართვის უფლებით;
- აირჩიოს პარტნიორი;
- გადაწყვიტოს დაამყაროს სქესობრივი კავშირი თუ არა;
- ჰქონდეს შეთანხმებული სქესობრივი ურთიერთობა;
- შექმნას ოჯახი საკუთარი სურვილით;
- თავად გადაწყვიტოს როდის და რამდენი შვილი იყოლიოს;
- ისიამოვნოს სქესობრივი ცხოვრებით.

**სექსუალური ძალადობა**: ძალადობა, რომელიც სექსუალური ხასიათისაა და მიმართულია პიროვნების საწინააღმდეგოდ მისი სქესის გამო.

**სექსუალური ორიენტაცია**: სექსუალური მიზიდულობა შენი მსგავსი, განსხ-ვავებული ან ორივე სქესის ადამიანების მიმართ.

# სექსუალური უფლებები: IPPF დეკლარაცია

## მნიშვნელოვანი დოკუმენტები ადამიანის უფლებებზე

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (UDHR):
http://www.un.org/en/documents/udhr/

საერთაშორისო კონვენცია სამოქალაქო და პოლიტიკურ
უფლებებზე (ICCPR) და მისი 2 პროტოკოლი:
http://www2.ohchr.org/english/law/ccpr.htm

საერთაშორისო შეთანხმება ეკონომიურ, სოციალურ და
კულტურულ უფლებებზე (ICESCR):
http://www2.ohchr.org/english/law/cescr.Htm

## ადამიანის უფლებების ძირითადი საერთაშორისო ინსტრუმენტები

საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის
ყველა ფორმის აღმოფხვრაზე (ICERD):
http://www2.ohchr.org/english/law/cerd.htm

კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრაზე
(CEDAW) და მისი პროტოკოლი:
http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/cedaw.htm

ბავშვთა უფლებების კონვენცია (CRC) და მისი 2 პროტოკოლი:
http://www2.ohchr.org/english/law/crc.htm

საერთაშორისო კონვენცია ყველა მიგრაციული მუშაკისა
და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ (CMW):
http://www2.ohchr.org/english/law/cmw.htm

კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებებზე:
http://www.un.org/disabilities/convention/conventionfull.shtml

საერთაშორისო კონვენცია ყველა იძულებით
გაუჩინარებული ადამიანის დაცვაზე
http://www2.ohchr.org/english/law/disappearanceconvention.htm

## ადამიანის უფლებების ძირითად შეთანხმებებთან ერთად არსებობს რიგი სხვა საერთაშორისო ადამიანის უფლებების დამცავი ინსტრუმენტები, მათ შორის

ვენის დეკლარაცია და ქმედების პროგრამა:
http://www.unhchr.ch/huridocda/huridoca.nsf/(symbol)/a.conf.157.23.en

გაერთიანებული ერების ათასწლეულის დეკლარაცია:
http://www.un.org/millennium/declaration/ares552e.htm

გაერთიანებული ერების დეკლარაცია ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრაზე:
http://www.un.org/documents/ga/res/48/a48r104.htm

გაერთიანებული ერების დეკლარაცია განვითარების უფლებებზე:
http://www.un.org/documents/ga/res/41/a41r128.htm

აივ/შიდსის ვალდებულებების დეკლარაცია:
http://www.un.org/ga/aids/coverage/FinalDeclarationHIVAIDS.html

იოგოკატას საფუძვლები:
http://www.yogyakartaprinciples.org/

# სექსუალური უფლებები: IPPF დეკლარაცია

## საერთაშორისო ოჯახის დაგეგმვის ფედერაციის საკონტაქტო მონაცემები:

IPPF ცენტრალური ოფისი

4 Newhams Row
London
SE1 3UZ
Tel: +44 (0)20 7939 8200
Fax: +44 (0)20 7939 8300
Email: info@ippf.org
Website: www.ippf.org

IPPF რეგიონალური ოფისები

IPPF არაბული მსოფლიოს რეგიონი

2 Place Virgile
Notre Dame
Tunis
Tunisia 1082
Tel: +216 71 847 344
or +216 71 792 833
Fax: +216 71 788 661
or +216 71 846 552
Email: rd@ippf.org.tn
Website: www.ippfawr.org

IPPF აფრიკის რეგიონი

Madison Insurance House
Upper Hill Road/Ngong Road
PO BOX 30234
Nairobi 100
Kenya
Tel: +254 (20) 2720 280
or (20) 2720 281
or (20) 2720 282
Fax: +254 (20) 2714 968
Email: info@ippfaro.org
Website: www.ippfar.org

# სექსუალური უფლებები: IPPF დეკლარაცია

## საერთაშორისო ოჯახის დაგეგმვის ფედერაციის საკონტაქტო მონაცემები:


IPPF აღმოსავლეთ
და სამხრეთ-აღმოსავლეთ
აზიისა და ოკეანიის რეგიონი

246 Jalan Ampang
Kuala Lumpur 50450
Malaysia
Tel: +60 (3) 425 66 122
or (3) 425 66 246
or (3) 425 66 308
Fax: +60 (3) 425 66 386
Email: klro@ippfeseaor.org
Website: www.ippfeseaor.org

IPPF სამხრეთ
აზიის რეგიონი

IPPF House
66 Sundar Nagar
New Delhi 110003
India
Tel: +91 (11) 2435 9221
or (11) 2435 9222
or (11) 2435 9223
Fax: +91 (11) 2435 9220
Email: sar@ippf.org
Website: www.ippfsar.org

IPPF ევროპის ქსელი

146 rue Royale
Brussels 1000
Belgium
Tel: +32 (2) 250 09 50
Fax: +32 (2) 250 09 69
Email: info@ippfen.org
Website: www.ippfen.org

IPPF დასავლეთ
ჰემისფეროს რეგიონი

120 Wall Street
9th Floor
New York
New York 10005 USA
Tel: +1 212-248-6400
Fax: +1 212-248-4221
Email: info@ippfwhr.org
Website: www.ippfwhr.org

ასოციაცია "ჰერა ოცდაერთი"
IPPF ევროპის ქსელის წევრი ასოციაცია საქართველოში

გამსახურდიას II კვარტალი, N9/2 თბილისი, 0160 საქართველო
ტელ: +995 32 14 28 53
ელ.ფოსტა: info@heraxxi.ge
Website: www.hera-youth.ge  www,youth-counseling.ge

# სექსუალური უფლებები: IPPF დეკლარაცია

4 Newhams Row
ლონდონი SE1 3UZ
გაერთიანებული სამეფო

ტელ.: +44 (0)20 7939 8200
ფაქსი: +44 (0)20 7939 8300
email: info@ippf.org
web: www.ippf.org

გამოქვეყნებულია 2009 წლის დეკემბერში ოჯახის დაგეგმვის საერთაშორისო ფედერაციის მიერ. თუ კი გექნებათ სურვილი იმ საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის, რომელსაც ეწევა IPPF-ი ან ნებისმიერი მისი წევრი ორგანიზაცია გთხოვტ ესტუმროთ ჩვენს ვებ გვერდს: www.ippf.org ან დაუკავშირდით IPPF ის ცენტრალურ ოფისს ლონდონში, გაერთიანებული სამეფო.

ქაღალდილია 75% დამუშავებული ფურცლისგან დაქლორვის გარეშე, NAMP დაამტკიცა დამუშავებული პროდუქტი.

ფოტო კრედიტი: iStock Photos

დეკლარაცია ქართულ ენაზე თარგმნა და დაარედაქტირა ასოციაცია ჰერა ოცდაერთმა. ასოციაცია ჰერა ოცდაერთი წარმოადგენს ოჯახის დაგემვის საერთაშორისო ფედერაციის ევროპული ქსელის (IPPF_EN) წევრ ორგანიზაციას და წარმომადგენლობას საქართველოში.

(c) ყველა უფლება დაცულია

www.hera-youth.ge

www.youth-counceling.ge